სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 31 ივლისი 2004 №175 (2196) ფასი 50 თეთრი

დღეს იწყება ის, რაც გვკლავს, მაგრამ ურომლისოდაც არ შეგვიძლია



პროფლიგამ ქართულ ფეხბურთს ნიშადური ასუნთქა. გაჭრის?

გუნდები შეგვხვდა კენჭივით

წილი ნაყარია: საქართველო პოლონეთის წილხვედრია

ძველი ლეგია, ახალი თბილისი

1981-82 წლების სეზონი. თასების თასის მეოთხედფინალის ორივე მატჩი „დინამომ" „ლეგიას" 1:0 მოუგო



„სლავიას" მწვრთნელი იოჟეფ ცაჰლარი გია გეგუჩაძეს არა, მაგრამ „დინამოს" კი იცნობს: ორი წლის წინ „ლიბერეცს" მწვრთნელის თანაშემწედ [illegible]

ჩემპიონთა ლიგა 2004-2005

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა

ვისლა (პოლონეთი) ან ვიტ ჯორჯია (საქართველო) — რეალი (ესპანეთი)
ბრაცერი (ავსტრია) — ლივერპული (ინგლისი)
იუვენტუსი (იტალია) — კაუნასი (ლიტვა) ან იურგორდენი (შვედეთი)
ფერენცვაროში (უნგრეთი) ან ტირანა (ალბანეთი) — სპარტა (ჩეხეთი) ან აპოელი (კვიპროსი)
შერიფი (მოლდოვა) ან რუსენბორგი (ნორვეგია) — მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი)
ლევერკუზენი (გერმანია) — ბანიკი (ჩეხეთი)
ცსკა (რუსეთი) ან ნეფთჩი (აზერბაიჯანი) — გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია)
შახტარი (უკრაინა) ან პიუნიკი (სოფიელი) — ლოკომოტივი (ბულგარეთი) ან ბრიუგე (ბელგია)
დინამო (უკრაინა) — ტრაბზონსპორი (თურქეთი) ან სკონტო (ლატვია)
ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) ან იანგ ბოისი (შვეიცარია) — პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)
დინამო (რუმინეთი) ან ჟილინა (სლოვაკეთი) — მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)
ბაზელი (შვეიცარია) — ინტერი (იტალია)
ბენფიკა (პორტუგალია) — ანდერლეხტი (ბელგია)
დეპორტივო (ესპანეთი) — შელბურნი (ირლანდია) ან ჰაიდუკი (ხორვატია)
პაოკ (საბერძნეთი) — მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) ან ჰიკ (ფინეთი)
კოპენჰაგენი (დანია) ან ნოვა გორიცა (სლოვენია) — მონაკო (საფრანგეთი)

პირველი მატჩები გაიმართება 10-11 აგვისტოს, საპასუხოები — 24-25 აგვისტოს

ჩვენ შეგვეძლო აგვისტომდე თბილისში „ვიტ ჯორჯია“ — მადრიდის „რეალი“, ზიდანი, ბექემი, ფიგუ, რონალდო გვენახა, მაგრამ რაკი ამას წინათ „ვიტ ჯორჯია“ — „ვისლა“ და 2:8 ვნახეთ, „რეალს“ მოცდა მოუწევს. „სამეფო კლუბმა“ ეგებ სხვა დროს გამოგვიაროს.

გუშინ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა მოეწყო, რომელმაც ქართველ გულშემატკივრებს მადრიდის „რეალი“ გამოუგზავნა, ოღონდ ესპანელებს თბილისში ჩამოსვლის მხოლოდ ერთი შანსი აქვთ — „ვიტ ჯორჯიამ“ კრაკოვში „ვისლას“ 7:0 ან...

გახსოვთ შარშანდელი? ბოლონიის „სიონს“ სლოვაკური „ჰუხოვი“ რომ დაეძლია, ფრანკ რაიკარდი და „ბარსელონა“ ქვემო ქართლს მოინახულებდნენ, მაგრამ ამ სიამოვნებას ვინ გაღირსებს?

მეორე ესპანურ გუნდს, „დეპორტივოს“, „ჰაიდუკისა“ და „შელბურნს“ შორის გამარჯვებული შეხვდება. ხორვატებმა პირველი მატჩი შინ 3:2 მოიგეს.

„ვალენსიიდან“ „ლივერპულში“ გადაბარგებულ რაფაელ ბენიტესს ავსტრიის ჩემპიონი „გრაცერი“ ერგო. ჯიბრილ სისესა და მაიკლ ოუენის პატრონს ავსტრიელთა ძლევა ალბათ არ გაუჭირდება.

„გლაზგო რეინჯერსს“ ყოფილ საბჭოეთში სტუმრობა მოუწევს. „ჩაფრები“ სავარაუდოდ მოსკოვში ჩავლენ, რადგან ცსკა — ბაქოს „ნეფთჩის“ წყალში რუსები ფავორიტები არიან.

სერ ალექს ფერგიუსონის „მანჩესტერს“ ბუქარესტის „დინამო“ ან სლოვაკური „ჟილინა“ ელის. „დინამომ“ პირველი მატჩი სლოვაკეთში მოიგო.

ლიგაში მოხვედრის კარგი შანსი აქვს „მონაკოს“. დიდე დეშანის გუნდს დანიური „კოპენჰაგენი“ ალბათ არ ასცდება, რადგან ვიკინგებმა „ნოვა გორიცას“ სლოვენიაში სძლიეს.

არ გაუმართლაო, შეიძლება ითქვას „ინტერზეც“ და „ბაზელზეც“, რომლებიც წილისყრამ დაუჯახა ერთმანეთს და ერთ-ერთი ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდება.

ლიგაში შესაძლოა, იტალიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, მოხუცი ჯოვანი ტრაპატონი ვიხილოთ, ოღონდ საამისოდ მისმა „ბენფიკამ“ ბელგიურ „ანდერლეხტს“ უნდა აჯობოს.

უეფას თასი 2004-2005

II საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა

სლავია (ჩეხეთი) — დინამო (საქართველო)
ლეგია (პოლონეთი) — თბილისი (საქართველო)
გენჩლერბირლიგი (თურქეთი) — რიეკა (ხორვატია)
ლევსკი (ბულგარეთი) — მოდრიცა (ბოსნია)
ბნეი საჰნინი (ისრაელი) — პარტიზანი (ალბანეთი)
ჟელეზნიკი (სერბეთი) — სტიაუა (რუმინეთი)
ბუდუჩნოსტი (სერბეთი) — მარიბორი (სლოვენია)
ჟელეზნიჩარი (ბოსნია) — ლიტექსი (ბულგარეთი)
დინამო (ხორვატია) — პრიმორიე (სლოვენია)
ომონია (კვიპროსი) — ცსკა (ბულგარეთი)
პარტიზანი (სერბეთი) — ოცელული (რუმინეთი)
აეკ (კვიპროსი) — მაკაბი (ფეთაჰ თიკვა, ისრაელი)
ტერეკი (რუსეთი) — ლეხი (პოლონეთი)
რუბინი (რუსეთი) — რაპიდი (ავსტრია)
ილიჩევეცი (უკრაინა) — აუსტრია (ავსტრია)
ბანსკა ბისტრიცა (სლოვაკეთი) — ვილი (შვეიცარია)
ნისტრუ (მოლდოვა) — სიგმა (ჩეხეთი)
პეტრუალკა (სლოვაკეთი) — დნიპრო (უკრაინა)
პაშინგი (ავსტრია) — ზენიტი (რუსეთი)
სერვეტი (შვეიცარია) — უიპეშტი (უნგრეთი)
მეტალურგი (დონეცკი, უკრაინა) — ტირასპოლი (მოლდოვა)
ამიკა (პოლონეთი) — ჰონვედი (უნგრეთი)
გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) — ელფსბორგი (შვედეთი)
ბევერენი (ბელგია) — ვადუცი (ლიხტენშტაინი)
ოდ გრენლანდი (ნორვეგია) — ეკრანასი (ლიტვა)
ვენტსპილსი (ლატვია) — ბრონდბიუ (დანია)
აკრანესი (ისლანდია) — ჰამარბი (შვედეთი)
სტაბეკი (ნორვეგია) — ჰაკა (ფინეთი)
ბოდიო გლიმტი (ნორვეგია) — ლევადია (ესტონეთი)
ჰაფნარფიორდური (ისლანდია) — დანფერმლაინი (შოტლანდია)
ჟალგირისი (ლიტვა) — ოლბორგი (დანია)
იოსტერსი (შვედეთი) — მეტალურგსი (ლატვია)

პირველი მატჩები გაიმართება 12 აგვისტოს, საპასუხოები — 26 აგვისტოს

სლავია

პრაღა, ჩეხეთი

დაარსდა 1892 წელს
კლუბის პრეზიდენტი: მიროსლავ ონდრიჩეკი
მთავარი მწვრთნელი: იოჟეფ ცაპლარი
სტადიონი: „ევჟენა როსიცკაჰო“ (ტევადობა 19 032)
ჩეხეთის ჩემპიონი (14): 1925, 1929, 1930, 1931, 1933, 1934, 1935, 1937, 1940, 1941, 1942, 1943, 1947, 1996
ჩეხეთის თასის მფლობელი (3): 1997, 1999, 2002
ჩემპიონთა თასზე: 12 მატჩი, 6 მოგება, 0 ფრე, 6 წაგება, ბურთები 13:16
თასების მფლობელთა თასზე: 8 მატჩი, 3 მოგება, 3 ფრე, 2 წაგება, ბურთები 11:9
უეფას თასზე: 70 მატჩი, 31 მოგება, 14 ფრე, 25 წაგება, ბურთები 103:78

„წილისყრამ ძლიერი, მაღალი დონის მეტოქე გვარგუნა, ალბათ ყველაზე სახიფათო გუნდი, ვინც კი ამ ეტაპზე უნდა შეგვხვედროდა. შარშანწინდელი „ლიბერეცის“ მერე ჩეხებს კვლავ მოგვიწევს თბილისის „დინამოსთან“ თამაში. არ ვიცი, „ლიბერეცის“ შემდეგ როგორ შეიცვალა „დინამო. ორი წლის წინ კი „დინამო“ კარგად გაწვრთნილი და ორგანიზებული გუნდი იყო. ევროპაში არსად მინახავს ისეთი დამუხტული ატმოსფერო, როგორიც თბილისში იყო“ — ასეთი კომენტარი გააკეთა გუშინ ნაწილისყრევს „სლავიას“ მთავარმა მწვრთნელმა იოჟეფ ცაპლარმა.

„სლავია“ ევროპის ერთ-ერთი უძველესი სპორტული კლუბია, ხოლო როგორც საფეხბურთო კლუბი 1898 წელს დაარსდა. „სლავიას“ მსოფლიოს რეკორდიც კი ეკუთვნის — ამ კლუბმა ყველაზე ადრე დაიკანონა ტრადიციული ფერები — 1896 წლიდან — უზოლო თეთრწითელი მაისურა, რომელსაც წითელი ვარსკვლავი ამშვენებს.

მეოცე საუკუნის ათიანი წლებიდან „სლავია“ ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი იყო. 1934 წლის მუნდიალზე კი ჩეხეთმა ფინალამდე მიაღწია და ნაკრები მეტწილად „სლავიას“ ფეხბურთელებით გახლდათ დაკომპლექტებული.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ „სლავიას“ კომუნისტები ძალიან ცუდი თვალით უყურებდნენ. კლუბი, ფაქტობრივად, უპატრონოდ დარჩა და რამდენჯერმე გავარდა კიდეც ჩეხეთის უმაღლესი ლიგიდან. 1965 წელს კი „სლავიამ“ ჩეხური ბრინჯაო მოინაგრა, მაგრამ ძველი დიდების დაბრუნებას ვერა და ვერ ახერხებდა.

თუმც 90-იან წლებში „სლავიამ“ ძალა მოიკრიბა, ხოლო 1996 წელს, 49-წლიანი პაუზის შემდეგ, მეთოთხმეტედ გახდა ჩეხეთის ჩემპიონი. იმავე წელს „სლავიამ“ უეფას თასის ნახევარფინალამდეც კი მიაღწია.

ახლანდელ „სლავიაში“ ყველაზე სახელიანი ფეხბურთელები მცველი რადეკ ბეიბლი და ფორვარდი პაველ კუკა არიან — მათ 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედლები დაიმსახურეს და თითო-თითო გოლიც გაიტანეს — ბეიბლმა რუსებს შეუგდო, კუკამ იტალიელებს. ბეიბლი 31 წლისაა, კუკა 36-ის და ისინი ნაკრებში აღარ თამაშობენ.

ახლანდელ ჩეხეთის ეროვნულ გუნდში რეგულარულად არც ერთი სლავიელი არ თამაშობს, მაგრამ ეს კლუბის ძალას სულაც არ აკნინებს — ჩეხეთის წინა ჩემპიონატში „სლავია“ ოდენ ქულით ჩამორჩა „სპარტას“ და მეორე ადგილზე გავიდა.

„სლავიას“ კარს 30 წლის რადეკ ჩერნი იცავს და მას ეროვნულ ნაკრებში სამჯერ უთამაშია. დაცვაში გამორჩეული კაცია ლუკაშ დოშეკი, მისი ტყუპისცალი ტომაში კი ფორვარდია.

„სლავიას“ ორი ლეგიონერი ჰყავს: სლოვაკი მეკარე მატიუშ კოზაჩიკი და ბრაზილიელი თავდამსხმელი ევანდრო და სილვა ადაუტო, ვინც წინა სეზონში ჩეხეთის ჩემპიონატის საუკეთესო უცხოელ ფეხბურთელად დაასახელეს — მან 22 მატჩში 7 გოლი გაიტანა.

და კიდევ — იოხეფ ცაპლარს დამუხტული თბილისი ტყუილად როდი უხსენებია — ორი წლის წინ ის „ლიბერეცის“ მთავარი მწვრთნელის, ვლადისლავ შკორპილის თანაშემწე იყო.

დავით თავართქილაძე

მეკარეები	
რადეკ ჩერნი	18.02.74
მატიუშ კოჟაჩიკი	27.12.83
მცველები	
რადეკ ბეიბლი	29.08.72
ლუკაშ დოშეკი	12.09.78
მიროსლავ ჰოლენაკი	10.02.76
ტომაშ ჰრდლიჩკა	17.02.82
იაკუბ ხლებუნი	24.03.85
კარელ კრატოხვილი	08.06.82
ნახევარმცველები	
პატრიკ გედეონი	19.07.75
ვაცლავ კოლუშეკი	13.04.76
მარტინ ლატკა	28.09.84
მარტინ ლუკეში	17.11.78
კარელ პიტაკი	28.01.80
ლუმირ სედლაჩეკი	13.06.78
მიხალ შვეცი	19.03.87
თავდამსხმელები	
პაველ კუკა	19.07.68
პაველ ფორტი	26.06.83
ივო ტობორსკი	10.05.85
ევანდრო ადაუტო	29.05.80

სლავიამ ფული და ოცნება წააგო

გიორგი დარჯანია ბლშანიდან

„ბლშანის“ ბაზაზე, სადაც „ამერი“ ცხოვრობ, ყველა ოთახს რომელიმე დიდი ფეხბურთელის სახელი ჰქვია. კარზე ასეთი აბრეგია: „№5 ივო ვიქტორის ოთახი“ ან „№8 მარკო ვან ბასტენის ოთახი“...

იოჟეფ ცაპლარი

ჩემი, №1 ოთახი ფრანტიშეკ პლანიჩკას სახელობისაა, კედლებზე კი ორი დიდი ფოტოა. ერთიდან ბურთჩახუტებული პლანიჩკა მიღიმის, მეორეზე მატჩის წინ ჯუზეპე მეაცას ართმევს ხელს. ეს ფოტო 1937 წლის 23 მაისს არის გადაღებული, იმ მატჩში ჩეხებმა იტალიასთან 0:1 წააგეს.

ფრანტიშეკ პლანიჩკა ჩეხოსლოვაკიის ნაკრების და პრაღის „სლავიას“ დიდი კაპიტანი იყო. მას მერე დიდი დრო გავიდა. „სლავიას“ წარმატებული პერიოდებიც ჰქონდა და წარუმატებელიც. კლუბის დღევანდელ ყოფას კი შეგვიძლია კატასტროფული ვუწოდოთ.

ჩვენი მასპინძელი, „ბლშანის“ მენეჯერი გამბრინუსლიგის გუნდებზე ისე მელაპარაკება, თითქოს რომელიმე მათგანს ჩემპიონთა ლიგა მოეგოს — ზეაღმატებულ ხარისხში. „სლავია“ ერთადერთი გუნდი იყო, რომელიც არ შეუქია. როცა ვუთხარი, თბილისის „დინამოს“ უნდა შეხვდეს-მეთქი, შეიჭმუხნა და მიპასუხა, 2-3 წლის წინ თქვენებს შანსი არ ექნებოდათ, ახლა კი „სლავია“ ისეა წამხდარი, ვისთანაც გინდა, შეიძლება წააგოსო, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ უცილობლად დამარცხდებაო.

გაჭირვების მიზეზი კი მეტისმეტად ნაცნობი და ბანალურია — უფულობა. სამი თვეა, „სლავიას“ არცერთ ფეხბურთელს, მწვრთნელს თუ პერსონალს ხელფასი არ აუღია. უხელფასოდ კი, მოგეხსენებათ, სამუშაო განწყობა ისეთი არ არის, როგორიც უნდა იყოს.

თავად უფულობის მიზეზი ის არის, რომ კლუბის მეპატრონეებმა შესაძლებლობები ვერ გათვალეს. მეპატრონეები ინგლისელები არიან და ფსონს ჩემპიონთა ლიგაში გასვლაზე იყვნენ ჩასულები. ბოლო ორი სეზონი ამის იმედად იყვნენ და ლიგიდან მიღებული ფულით უნდოდათ ცხოვრების აწყობა. „სლავია“ ლიგაში ვერც შარშან მოზვდა და ვერც ამ ზაფხულს, სხვა წყაროებიდან მოზიდული ფული კი კლუბის ბიუჯეტს ვერ ავსებს.

უფულობის გარდა „სლავია“ სხვა რამითაც გამოირჩევა გამბრინუსლიგის სხვა კლუბებისგან, ოღონდ ერთიცაა: შედარებისას „სპარტა“ ცალკე უნდა დავაყენოთ, იმხელა სხვაობაა „სპარტასა“ და დანარჩენებს შორის. ეს დანარჩენები ერთნაირ ფეხბურთს თამაშობენ, სწრაფ, ძალისმიერ, ტაქტიკურად გამართულ ფეხბურთს. უმეტეს შემთხვევაში მათი განსხვავება მხოლოდ მაისურის ფერით თუ შეიძლება, იმდენად ერთნაირები არიან. მეტიც: უკლებლივ ყველა ჩეხური გუნდი ნაკრების ტაქტიკური სქემით, 4-4-2 თამაშობს, რაც აქაური ფეხბურთის ფედერაციის პირდაპირი დირექტივაა. ეს ძალიან უცნაური წესია, საკამათო, მაგრამ ასეა და გადასინჯვას არ ექვემდებარება.

„სლავია“ კი ამ ერთფეროვნებაში ტექნიკით გამოირჩევა. მას ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელები ჰყავს ჩეხეთში — რა თქმა უნდა, „სპარატას“ მერე. კარგი ტექნიკა და კარგი დაცვა — ეს „სლავიას“ კოზირებია. ხაზზე მოთამაშე ოთხი მცველი და პრესინგი, პრესინგი, პრესინგი.

საუკეთესო დაცვის ყოლა (გავიმეოროთ, „სპარტას“ მერე) მთავარი მწვრთნელის იოზეფ ცაპლარის დამსახურება ყოფილა, ვინაც დაცვის საუკეთესო მცოდნედ ითვლება ჩეხეთში. თავის დროზე ცაპლარმა მილანელოში გაიარა ერთწლიანი სტაჟირება და იქ ნასწავლი სამშობლოში ჩამოიტანა. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ იოზეფ ცაპლარი „სლავიას“ მარტიდან წვრთნის და ძნელი სათქმელია, ამ ხუთ თვეში რამდენად მიაღწია სასურველ შედეგს.

და ერთიც: ისევ და ისევ უფულობის გამო „სლავიამ“ სეზონისწინა შეკრების გავლაც ვერ მოახერხა და არცერთი ფეხბურთელი არ დაუმატებია.

პაველ კუკა — „სლავიას“ უბერებელი ლიდერი

ლეგია

ვარშავა, პოლონეთი

დაარსდა 1916 წელს
კლუბის პრეზიდენტი: პიოტრ ზიგო
მთავარი მწვრთნელი: დარიუშ კუბიცკი
სტადიონი: „ვოისკა პოლსკიეგო“ (ტევადობა 15 000)
პოლონეთის ჩემპიონი (7): 1955, 1956, 1969, 1970, 1994, 1995, 2002
პოლონეთის თასის მფლობელი (12): 1955, 1956, 1964, 1966, 1973, 1980, 1981, 1989, 1990, 1994, 1995, 1997
პოლონეთის სუპერთასის მფლობელი (3): 1989, 1994, 1997
პოლონეთის ლიგის თასის მფლობელი (1): 2002
ჩემპიონთა თასზე: 34 მატჩი, 16 მოგება, 5 ფრე, 13 წაგება, ბურთები 41:39
თასების მფლობელთა თასზე: 37 მატჩი, 14 მოგება, 12 ფრე, 11 წაგება, ბურთები 53:39
უეფას თასზე: 48 მატჩი, 22 მოგება, 12 ფრე, 14 წაგება, ბურთები 90:58



დარიუშ კუბიცკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ... რამაც მოგვპლა, იქნებ იმან გვიწამლოს

„თბილისის“ მეტოქე უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე — ვარშავის „ლეგია“. ქართულ გუნდებს თითქოს ერთი პოლონური გუნდის მეტოქეობა არ ეყოფოდათ და, ვიდრე „ვისლა“ „ვიტ ჯორჯიასთან“ საქმეს ოფიციალურად მოამთავრებს, უეფას გუშინდელმა წილისყრამ „თბილისს“ მეორე პოლონური გუნდი, „ვისლაზე“ არანაკლებ ყოჩაღი „ლეგია“ არგუნა.

„ლეგია“ — ძველი, დიდი თბილისის „დინამოსთვის“ ეს სახელი ნაცნობია. 1981-82 წლების თასების თასის გათამაშების მეოთხედფინალში ამ თასის მფლობელმა „დინამომ“ „ლეგიას“ ორჯერ, შინ და სტუმრად ერთნაირი ანგარიშით 1:0, 1:0 სძლია. ეს ის გათამაშება იყო, როცა „დინამო“ ნახევარფინალში ბელგიურ „სტანდარდთან“ დამარცხდა.

ახლა კი „ლეგიას“ 22 წლის შემდეგ კვლავ მოუწევს თბილისში სტუმრობა მასზე გაცილებით ახალგაზრდა „თბილისთან“ სათამაშოდ. და რაკი ახალგაზრდა „თბილისი“ ვახსენეთ, აქვე ვთქვათ, რომ ამჟამინდელი „ლეგიას“ საშუალო ასაკი 25 წელია.

გუნდში ყველაზე უფროსი 37 წლის მცველი, პოლონეთის ნაკრების კანდიდატი იაცეკ ზიელინსკია. ის თურმე „ლეგიას“ ერთგვარ სიმბოლოდაც კი ითვლება. გუნდში 1990 წლიდან თამაშობს და ამ ხნის მანძილზე 404 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 9 გოლი გაიტანა. ნაკრებში მას 60-ჯერ უთამაშია. „ლეგიაში“ ჩატარებული შეხვედრების რაოდენობით ზიელინსკის ასევე მცველი, ასევე ნაკრების კანდიდატი მარეკ იუჟვიაკი მოსდევს — 330 მატჩი, 5 გოლი.

„ლეგიაში“ ზემოხსენებული ორი ფეხბურთელის გარდა კიდევ რვა ფეხბურთელი ითვლება ეროვნული გუნდის კანდიდატად: მეკარე არტურ ბორუკი, მცველი ტომაშ იარჟებოვსკი; ნახევარმცველები ბარტოშ კარვანი (ვინც შარშან გერმანულ „ჰერტაში“ თამაშობდა), ტომაშ კილბოვიჩი, ორი ტომაშ სოკოლოვსკიდან უფროსი, 1970 წელს დაბადებული და ლუკაშ სურმა; თავდამსხმელები მარეკ საგანოვსკი და პიოტრ ვლოდარჩიკი. საგანოვსკის „ლეგიაში“ 51 მატჩი აქვს ჩატარებული და 29 გოლი გაუტანია, ვლოდარჩიკს კი 55 თამაშში 15 გოლი. „ლეგიას“ საუკეთესო ფეხბურთელად და ვარშაველი ქომაგების კერპად კი ზიმბაბველი ლეგიონერი, მცველი დიკსონ ჩოტო ითვლება. მის გარდა გუნდში კიდევ ოთხი ლეგიონერია, კიდევ ერთი ზიმბაბველი, სერბი, ინგლისელი და მოლდოველი ანატოლი დოროში.

როგორც ჩვენმა პოლონელმა კოლეგამ დარიუშ კუროვსკიმ გვითხრა, წინა სეზონში „ლეგია“ თამაშის ხარისხით „ვისლას“ ძალიან ჩამორჩებოდა. ახალი სეზონისთვის კი მწვრთნელმა დარიუშ კუბიცკიმ გუნდი როგორ მოამზადა, ამას გუშინ დაწყებული პოლონეთის ჩემპიონატის პირველი ორისამი თამაში აჩვენებს. შარშან კუბიცკის „ლეგია“ სისტემატურად 3-5-2 ტაქტიკური სქემით თამაშობდა, გუნდის ყველაზე ძლიერ რგოლად კი უკანა ხაზი ითვლება. შედარებით სუსტად თურმე თავდასხმა თამაშობს.

პოლონეთის ჩემპიონატის პირველ მატჩს „ლეგია“ ხვალ „პოგონთან“ გამართავს.

კოტა ინასარიძე

მეკარეები	
არტურ ბორუკი	20.02.80
ანჯეი კრიშტალოვიჩი	21.10.70
ლუკაშ ზარემბა	25.03.84
მცველები	
დიკსონ ჩოტო	19.03.81
ვესელინ ჯოკოვიჩი	18.02.76
დარიუშ დუდეკი	08.04.75
მარეკ იუჟვიაკი	21.08.67
მირკო პოლედიცა	09.11.78
იაკუბ რუჟუნჩაკი	26.10.86
ედი სტენფორდი	04.02.85
ვოიცეხ შალა	27.01.76
იაცეკ ზიელინსკი	10.10.67
ნახევარმცველები	
ტომაშ იარჟებოვსკი	16.11.78
ბარტოშ კარვანი	13.01.76
ტომაშ კილბოვიჩი	21.02.76
ირენეუშ კოვალსკი	17.03.79
ლეო კურაუზვიონე	05.12.81
იაცეკ მაგიერა	01.01.77
მარჩინ შმოლინსკი	05.04.85
ტომაშ სოკოლოვსკი	21.09.70
ტომაშ სოკოლოვსკი II	27.04.77
ლუკაშ სურმა	28.06.77
რადოსლავ ვრობლევსკი	01.05.80
თავდამსხმელები	
მარეკ საგანოვსკი	31.10.78
პიოტრ ვლოდარჩიკი	04.05.77
ანატოლი დოროში	21.03.83
მაცეი კორჟიმი	05.02.88

პოლონური „ლეგიას“ მთავარ მწვრთნელს, 41 წლის დარიუშ კუბიცკის წილისყრიდან 2-3 საათში დავურეკეთ...

— „თბილისზე“ რაიმე ინფორმაციას ფლობთ?

— ჯერ არაფერს, მაგრამ ვიდეომასალის მოპოვებაზე ზრუნვა უკვე დავიწყეთ და „თბილისის“ რომელიმე მატჩის ჩანაწერს აუცილებლად ვნახავთ.

— **შანსებს როგორ შეაფასებდით?**

— არ ვიცი, „თბილისი“ რა გუნდია და როგორი თამაშები გველის.

— **გასაგებია, მაგრამ ის ხომ იცით, რომ „ვისლამ“ ჩვენს ჩემპიონს 8:2 მოუგო...**

— ფეხბურთში ყოველი მატჩი განსხვავებულია, ასე რომ, „ვისლას“ მოგებით ყველაფერზე ვერ ვიმსჯელებთ. ისიცაა, რომ „ვისლამ“ თქვენს ჩემპიონთან თავისი შანსი ზედმიწევნით კარგად გამოიყენა.

დავით თავართქილაძე

გიორგი დევდარიანი:

— უკვე იმის დრო იყო, სერიოზული მეტოქე შეგვხვედროდა. „ლეგისთან“ თამაშში ჩვენი გუნდის რეალური ძალა გამოჩნდება.

— სხვაობა პოლონურ და ქართულ კლუბებს შორის მართლაც არის, მაგრამ არა იმხელა, რაც „ვიტ ჯორჯია“ — „ვისლას“ ანგარიშში აისახა. ახლა ჩვენ ორმაგი პასუხისმგებლობა გვაკისრია, რადგან ქართული ფეხბურთის პრესტიჟი უნდა გამოვასწოროთ და საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ.

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი 16 ლიგა

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

ათგუნდა უმაღლესი ლიგა ოთხ წრედ — დღეს ნოვაციური, მეთექვსმეტე ეროვნული ჩემპიონატი იწყება და რახან ფეხბურთის პროფესიულმა ლიგამ ორი ღარიბი გუნდი — „რუსთავი“ და „ქობულეთი“ პირველ ლიგაში გადაისროლა, უკეთეს უმაღლეს ლიგას ველით.

უქონელთა მოკვეთა კორუფციის შანსებს ამცირებს, მაგრამ ჩაწყობა-გარიგებას ბოლომდე ვერ მოსპობს. პროფლიგა კლუბების გაერთიანებაა და თუ ვინმეს რამე არ მოეწონება, თითს სხვაგან ალბათ ვერ გაიშვერს — ჩემპიონატის სინდის-ნამუსი ყველაზე მეტად კლუბებზე ჰკიდია.

ოქროსთვის კი ალბათ სამი გუნდი იბრძოლებს — „დინამო“, „თბილისი“ და „ვიტ ჯორჯია“ — ასე ჩანს ჩემპიონატის სტარტისთვის. უმთავრესი კი გულშემატკივარია — წინა სეზონში ქომაგმა ეროვნულ ჩემპიონატზე დაბრუნება დაიწყო და ახლა ქართული პირველობისგან უწინდელზე მეტს ელის.

პირველი წრე

პირველი ტური

31 ივლისი, შაბათი
ტორპედო – ლოკომოტივი
კოლხეთი – ვიტ ჯორჯია
1 აგვისტო, კვირა
დილა – ბათუმი
2 აგვისტო, ორშაბათი
ზესტაფონი – თბილისი
დინამო – სიონი

მეორე ტური

6 აგვისტო, პარასკევი
თბილისი – კოლხეთი
7 აგვისტო, შაბათი
ლოკომოტივი – ბათუმი
სიონი – დილა
ტორპედო – ზესტაფონი
8 აგვისტო, კვირა
ვიტ ჯორჯია – დინამო

მესამე ტური

14 აგვისტო, შაბათი
ზესტაფონი – ლოკომოტივი
კოლხეთი – ტორპედო
ბათუმი – სიონი
15 აგვისტო, კვირა
დინამო – თბილისი
დილა – ვიტ ჯორჯია

მეოთხე ტური

21 აგვისტო, შაბათი
ვიტ ჯორჯია – ბათუმი
ლოკომოტივი – სიონი
ზესტაფონი – კოლხეთი
ტორპედო – დინამო
22 აგვისტო, კვირა
თბილისი – დილა

მეხუთე ტური

29 აგვისტო, კვირა
კოლხეთი – ლოკომოტივი
დილა – ტორპედო
დინამო – ზესტაფონი
ბათუმი – თბილისი
სიონი – ვიტ ჯორჯია

მეექვსე ტური

11 სექტემბერი, შაბათი
თბილისი – სიონი
ტორპედო – ბათუმი
ზესტაფონი – დილა
კოლხეთი – დინამო
12 სექტემბერი, კვირა
ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია

მეშვიდე ტური

18 სექტემბერი, შაბათი
დილა – კოლხეთი
ბათუმი – ზესტაფონი
სიონი – ტორპედო
ვიტ ჯორჯია – თბილისი
19 სექტემბერი, კვირა
დინამო – ლოკომოტივი

მერვე ტური

25 სექტემბერი, შაბათი
ლოკომოტივი – თბილისი
კოლხეთი – ბათუმი
ზესტაფონი – სიონი
დინამო – დილა
ტორპედო – ვიტ ჯორჯია

მეცხრე ტური

2 ოქტომბერი, შაბათი
სიონი – კოლხეთი
ვიტ ჯორჯია – ზესტაფონი
დილა – ლოკომოტივი
ბათუმი – დინამო
თბილისი – ტორპედო

მეორე წრე

მეათე ტური

6 ოქტომბერი, ოთხშაბათი
ვიტ ჯორჯია – კოლხეთი
7 ოქტომბერი, ხუთშაბათი
ბათუმი – დილა
თბილისი – ზესტაფონი
სიონი – დინამო
ლოკომოტივი – ტორპედო

მეთერთმეტე ტური

16 ოქტომბერი, შაბათი
კოლხეთი – თბილისი
ბათუმი – ლოკომოტივი
დილა – სიონი
ზესტაფონი – ტორპედო
დინამო – ვიტ ჯორჯია

მეთორმეტე ტური

24 ოქტომბერი, კვირა
ლოკომოტივი – ზესტაფონი
ტორპედო – კოლხეთი
სიონი – ბათუმი
თბილისი – დინამო
25 ოქტომბერი, ორშაბათი
ვიტ ჯორჯია – დილა

მეცამეტე ტური

30 ოქტომბერი, შაბათი
ბათუმი – ვიტ ჯორჯია
დილა – თბილისი
დინამო – ტორპედო
სიონი – ლოკომოტივი
კოლხეთი – ზესტაფონი

მეთოთხმეტე ტური

7 ნოემბერი, კვირა
ლოკომოტივი – კოლხეთი
ტორპედო – დილა
ზესტაფონი – დინამო
თბილისი – ბათუმი
ვიტ ჯორჯია – სიონი

მეთხუთმეტე ტური

11 ნოემბერი, ხუთშაბათი
სიონი – თბილისი
ბათუმი – ტორპედო
დილა – ზესტაფონი
დინამო – კოლხეთი
ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი

მეთექვსმეტე ტური

20 ნოემბერი, შაბათი
კოლხეთი – დილა
ზესტაფონი – ბათუმი
ტორპედო – სიონი
თბილისი – ვიტ ჯორჯია
21 ნოემბერი, კვირა
ლოკომოტივი – დინამო

მეჩვიდმეტე ტური

28 ნოემბერი, კვირა
თბილისი – ლოკომოტივი
ბათუმი – კოლხეთი
სიონი – ზესტაფონი
დილა – დინამო
ვიტ ჯორჯია – ტორპედო

მეთვრამეტე ტური

5 დეკემბერი, კვირა
ტორპედო – თბილისი
ლოკომოტივი – დილა
დინამო – ბათუმი
კოლხეთი – სიონი
ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია

თასის 1/16, 1/8 და 1/4 ფინალური დღეებია: 25 აგვისტო, 3 სექტემბერი, 28 სექტემბერი, 20 ოქტომბერი, 3 ნოემბერი, 1 დეკემბერი, 9 დეკემბერი

ვიწყებთ. ათს უკლია რამდენიმე საათი



გია გეგეჩკორი, „დინამო“: კარგია, რომ ჩემპიონატში ათი გუნდი ითამაშებს, ვფიქრობ, ეს მონაწილეთა ოპტიმალური რაოდენობაა. ზოგადად ქართული ფეხბურთის დონის ასამაღლებლად საჭირო იყო გუნდების შემცირება. ახლა მეტი საინტერესო და დაძაბული თამაში იქნება. აქედან გამომდინარე კი ჩემპიონატიც უფრო საინტერესო გახდება.

— „დინამო“ ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და ჩემპიონატის მიმდინარეობისას შემადგენლობაც უფრო სტაბილური გახდება. თუმც ერთიცაა, გუნდი ცოცხალი ორგანიზმია და ცვლილებებს ვერ ავცდებით. თანაც დღესდღეობით „დინამოში“ დიდი კონკურენციაა, რაც ნორმალური გუნდისთვის ნორმალური მოვლენაა, ფეხბურთელი კონკურენციის გარეშე ვერ გაიზრდება.

— „დინამოს“ მიზანი, რა თქმა უნდა, ისევ ჩემპიონობა და თასის მოპოვებაა, სხვანაირად ვერც წარმომიდგენია.



ზაურ სვანაძე, „ლოკომოტივი“: კარგია, რომ თამაშების რაოდენობამ იმატა. წინა სეზონში ზამთრის შესვენების შემდეგ სულ 10 მატჩი ჩავატარეთ, რაც ძალიან ცოტაა. ახლა ფეხბურთელებს სათამაშო პრაქტიკაც მეტი ექნებათ.

— როგორ ხვდებით ჩემპიონატს?

— ზოგადად, მომზადების დონით და შეკრებით კმაყოფილი ვარ. თუმცა ბევრი რამ კიდევ გასარკვევია, კერძოდ, გუნდში ირაკლი ვაშაკიძის დარჩენის საკითხი.

— ლაპარაკია „ლოკომოტივის“ გიორგი ქინქლაძით გაძლიერებაზე...

— ამ საკითხზე ვმუშაობთ. ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

— რა მიზნები ექნება „ლოკომოტივს“?

— შევეცდებით, ხუთეულში მოვხვდეთ. ჩემპიონატს საკმაოდ რთული მატჩით, ქუთაისში გასვლით ვიწყებთ. ამ ეტაპზე ჩვენი მიზანი ბრძოლისუნარიანი, ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებაა.



გიორგი დევდარიანი, „თბილისი“: ჩემპიონატის ახალი სისტემის განხილვაში მონაწილეობა არ მიმიღია და რაც არის, იმას უნდა მოვერგოთ. ჩვენი გუნდისგან, ჩვენი ფეხბურთელებისგან და საკუთარი თავისგან უფრო მეტს ველი — „თბილისის“ პროგრამა-მაქსიმუმი ჩემპიონობაა.

ზურაბ ხორგუაშვილი, „დილა“: ჩვენთან ნორმალური სიტუაციაა, „დილას“ პრეზიდენტი კვლავაც გელა ჩხეიძე იქნება.

— გუნდის დაკომპლექტებით კმაყოფილი ხართ?

— მეტნაკლებად, საკმაოდ კარგი ახალგაზრდები, ადგილობრივი მოთამაშეები დავიმატეთ და მათი დიდი იმედი მაქვს — „დილა“ ალბათ ყველაზე ახალგაზრდული გუნდი იქნება ამ ჩემპიონატში.

— ჩემპიონატის ახალი სისტემა მოგწონთ?

— გადაწყვეტილება მიღებულია და ალბათ ასე იყო საჭირო.



ვალერი კილასონია, „სიონი“: ჩემპიონატისგან ახალს არაფერს ველი, ვფიქრობ, დონეც იგივე დარჩება, რაც შარშან იყო. ალბათ რამდენიმე კარგი მატჩიც გამოერევა, უფრო ჩემპიონატის ბოლოსკენ.

— „სიონი“, ფაქტობრივად, ახალი გუნდით ითამაშებს. შემადგენლობა კი ჯერ საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ არის. არც შეკრება გაგვივლია.

— ფინანსური პრობლემები ახლა არ გვაქვს. გვპირდებიან, რომ ჩემპიონატის მიმდინარეობისას პირობები გაუმჯობესდება.



ოთარ გაბელია, „ტორპედო“: მე 16-18-გუნდიან ჩემპიონატს ვემხრობი. ძლიერი ასეც კარგად გაირკვევოდა. თანაც ჩემპიონატში საქართველოს სხვადასხვა რეგიონის გუნდები ითამაშებდნენ, რაც მისდამი ინტერესს კიდევ უფრო გაზრდიდა. ვფიქრობ, დასავლეთ საქართველო უფრო მეტი გუნდით უნდა იყოს წარმოდგენილი. კახეთის რეგიონსაც უნდა ჰყავდეს თავისი გუნდი — ეს მართლაც საქართველოს ჩემპიონატი იქნებოდა.

— სამაგიეროდ, 300 ათასი ლარის მოთხოვნამ გუნდებს ზედმეტი საწუწუნო მოუსპო...

— კარგია, რომ ამის გარანტია არსებობს, რაც გუნდებს სახელფასო პრობლემებსაც მოუხსნის. ისიც კარგია, რომ ძველებურად ცრუ საბუთების წარდგენით არ დაუშვეს გუნდები. თუმცა „რუსთავის“ წარმომადგენლები ამბობენ, რომ სამონაწილეოდ ყველაფერი მზად ჰქონდათ.

— „ტორპედოს“ რა მიზნები ექნება?

— ძალიან ვწუხვარ, რომ ამას ვამბობ, მაგრამ რეალობას ვერსად გავექცევით — ადგილის შესანარჩუნებლად უნდა ვიბრძოლოთ. დღევანდელი შემადგენლობით მეტზე ფიქრი წარმოუდგენელია. ხეირიანი შეკრება ვერ გავიარეთ, ვინც მინდოდა, ის ფეხბურთელები ვერ დავიმატეთ და რა უნდა ვქნათ?! ერთადერთი, რაც ვიცი, ხელფასები სტაბილურად გვექნება. მიუხედავად ამისა, ძნელბედობის პერიოდში „ტორპედოს“ მიტოვება არ მინდა. თუ მართლა მწვრთნელი ხარ, იმ გუნდშიც უნდა იმუშავო, რომელსაც უჭირს. მიუხედავად ამისა, გარწმუნებთ, „ტორპედოსთან“ იოლი მატჩები არავის ექნება. ნებისმიერ მეტოქესთან ბოლომდე ვიბრძოლებთ.



ამირან გოგიტიძე, „ბათუმი“: ახალი ჩემპიონისგან მეტ დაძაბულობას და ბევრ საინტერესო თამაშს ველი. დარწმუნებული ვარ, ახალი ჩემპიონატი წინაზე საინტერესო იქნება და ჩვენი ფეხბურთის საერთო დონეც ამაღლდება.

— კარგი იქნებოდა, ჩემპიონატში მონაწილეობა ათზე მეტ გუნდს მიეღო, მაგრამ რას იზამ, პროფლიგის ფინანსური მოთხოვნები „ქობულეთმა“ და „რუსთავმა“ ვერ დააკმაყოფილეს. ჩვენ კი ამ მხრივ პრობლემა არ გვაქვს, აჭარის მთავრობა მაქსიმალურად გვეხმარება, დანარჩენი კი ჩვენზეა, თუ კარგად ვითამაშებთ, მეტ ყურადღებას მოგვაქცევენ.

— ჩემპიონატის დაწყებამდე კონკრეტული მიზანი არ დაგვისახავს. ჩვენთვის მთავარია, კარგად ვითამაშოთ და „ბათუმს“ ძველი სახელი დავუბრუნოთ. ვნახოთ, რა გამოგვივა.

ვლადიმირ ზემლიანოი, „ზესტაფონი“: ვფიქრობ, საქართველოსთვის ათგუნდიანი ჩემპიონატი ოპტიმალურია. მოლდოვაში ჩემი მუშაობის პერიოდშიც ათი გუნდი თამაშობდა, შემდეგ კი სულაც რვა იყო, რაც მოლდოვისთვის საკმარისია, მაგრამ არა საქართველოსთვის. საინტერესო ჩემპიონატის მოლოდინში ვარ, ვინაიდან აქაურ გუნდებზე გარკვეული წარმოდგენა შემექმნა და ვთვლი, რომ ოთხი საკმაოდ მაღალი დონის კლუბი გყავთ.

— რა იქნება „ზესტაფონის“ მთავარი ამოცანა ამ ჩემპიონატში?

— უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება. მოგეხსენებათ, „ზესტაფონი“, ფაქტობრივად, თვენახევრის წინ დაკომპლექტდა, ამიტომაც რაიმე სერიოზული მიზნების დასახვა არარეალურია. ამ სეზონს შემადგენლობის დასაბალანსებლად გამოვიყენებთ. პირველ ტურში კი ძალიან სერიოზული მეტოქე გვეყოლება. „თბილისთან“ ამხანაგური მატჩიც ვითამაშეთ და ამ გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

— ჩემპიონატს შინ, თანაც განახლებულ სტადიონზე იწყებთ...

— სტადიონი მართლაც კარგი გამოვიდა, საქართველოს ერთი ევროპული დონის სტადიონიც შეემატა.

დავით მახარაძე, „კოლხეთი“: სეზონისწინა მზადებით კმაყოფილი ვარ, გუნდი სრულ მზადყოფნაშია. ამ ჩემპიონატში ანგარიშგასაწევი გუნდი ვიქნებით, წინა სეზონივით არგავარდნისთვის როდი ვიბრძოლებთ.

— ჩემპიონობას ვის უწინასწარმეტყველებთ?

— „დინამოს“, მეორეზე ალბათ „თბილისი“ გავა, მესამეზე „ვიტ ჯორჯია“.

— ჩემპიონატი ახალი ფორმატით გაიმართება...

— ასეთი სისტემით პირველად ვატარებთ ჩემპიონატს და ალბათ უწინდელებზე უფრო საინტერესო იქნება — თამაშების ჩაწყობა თითქმის მთელ მსოფლიოში ხდება, მაგრამ მეთექვსმეტე ეროვნულში ალბათ ეს შემცირდება. ვფიქრობ, ამ ჩემპიონატში გამოკვეთილი აუტსაიდერი არავინ იქნება, ბოლო ტურამდე ყველაფერი გაურკვეველი უნდა იყოს.



რა ხდება ვიტ ჯორჯიაში?

— მერაბ კოჭლაშვილი მთავარი მწვრთნელის მოვალეობას თავისით გადადგა — გვითხრა „ვიტ ჯორჯიას“ დირექტორატის წევრმა დავით ფირცხალაიშვილმა — მას დროებით გუნდის მაქორწინებელი ალიდმერ ხაჩიძე შეცვლის. კლუბის პრეზიდენტი ბურაბ რუხაძე თბილისში არ იმყოფება. მისი ჩამოსვლის შემდეგ კი ეს საკითხიც საბოლოოდ გაირკვევა. არ გამოვრიცხავ, ხაჩიძე მთავარ მწვრთნელად დარჩეს. შემადგენლობა კი ფაქტობრივად იგივე იქნება, გუნდის ბირთვი არ შეიცვლება. შესაძლოა, ჩვენივე ფარმკლუბიდან შევსებაც მივიღოთ.

— ალეკო გოგობერიშვილის თქვენს გუნდში გადმობირება რამდენად რეალურია?

— ამის შესახებ მოლაპარაკება დაწყებულია და ალბათ ყველაფერი მალე დადებითად გადაწყდება.

მეკარეები ხელი-ხელში

ბადრი ჯიმლიხის ფოტო

აკაკი დევაძე „თბილისს“ შამქირშიც ძალიან გამოადგა

„ბათუმსა“ და „თბილისს“ შორის ერთგვარი როკი მოხდა, ამ კლუბებმა მეკარეები გაცვალეს — აკაკი დევაძე „თბილისში“ ითამაშებს, სოსო გრიშიკაშვილი „ბათუმში“. ჯენტლმენური შეთანხმებით, ექვსი თვის შემდეგ მეკარეები ისევ თავიანთ კლუბებს დაუბრუნდებიან.

მოგეხსენებათ, წინა ჩემპიონატის დასრულებისთანავე „ბათუმმა“ უმაღლესიდან გავარდნილი „სპატაკისგან“ აკაკი დევაძე ითხოვა და სათავისოდ შეიგულა. ამასობაში კი ფეხბურთის ფედერაციამ „თბილისს“ „სიონის“ ნაცვლად უეფას თასზე თამაშის ნება დართო და პრობლემაც მაშინ შეიქმნა. „თბილისს“ მეკარე არ ჰყავდა. სოსო გრიშიკაშვილი სამი წლის წინ ბატე — „დინამოს“ თამაშისას გააძევეს და უეფასგან დისკვალიფიცირებული იყო. სოსოს საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდა.

„თბილისმა“ მეკარის პრობლემა „ბათუმისგან“ კაკო დევაძის ნათხოვრობით მოაგვარა. თბილისელთა თხოვნა ბათუმელებმა დაკმაყოფილეს და მეკარე ევროთამაშებისთვის გაანათხოვრეს. დევაძე „ბათუმს“ მაშინ უნდა დაბრუნებოდა, როცა „თბილისი“ უეფას თასის გათამაშებიდან გავარდებოდა.

ჰოდა, ვიდრე „თბილისი“ უეფას თასზე თამაშს აგრძელებს, დევაძეც ამ კლუბში რჩება. და ვინაიდან განაცხადების შევსების ვადა ჩემპიონატის დაწყებისთანავე იწურება, დევაძეც ექვსი თვე „თბილისში“ ითამაშებს.

სოსო გრიშიკაშვილი „ბათუმს“ დღეს შეუერთდება.

კოგა ინასარიძე

კომბინაცია: ჯამარაული-გახოკიძე-დემეტრაძე

უკრაინის ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელთა სიას გუშინ კიდევ ერთი ქართველი შეემატა — 28 წლის ნახევარმცველმა გოგა გახოკიძემ დონეცკის „მეტალურგთან“ ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

გოჩა ჯამარაულის და გიორგი დემეტრაძის გუნდი ქართველის გარდა, კიდევ ერთი ფეხბურთელით გაძლიერდა. როგორც დონეცკური კლუბის ფინანსური დირექტორი ვარდან ისრაელიანი ამბობს, იგი ბელგიელი ფორვარდი იგორ ლოლოა. „დიახ, ვადასტურებ — გახოკიძესთან და ლოლოსთან ერთწლიანი კონტრაქტები გავაფორმეთ — თქვა ისრაელიანმა — დარწმუნებული ვარ, ქართველიც და ბელგიელიც „მეტალურგს“ მნიშვნელოვნად გააძლიერებენ, თუმც ეს არ იქნება ბოლო სატრანსფერო ოპერაცია. მალე პერუელ თავდამსხმელ ანდრეს მენდოსას ჩამოვიყვანთ, „ბრიუგეს“ ამის თაობაზე უკვე დავუკავშირდით“.

გუშინვე „მეტალურგის“ საუეფასთასო მეტოქეც გაირკვა, დონეცკელები მოლდოვურ „ტირასპოლს“ შეხვდებიან. უკრაინელები უეფას შტაბინაში კლუბის განაცხადს მალე წარადგენენ და დარწმუნებით შეგვიძლია გითხრათ, რომ სამივე ქართველი განაცხადში იქნება: კაპიტანი ჯამარაული, ბომბარდირი დემეტრაძე და ახალწვეული გახოკიძე.

ვაშაკიძის აისი არისია

თბილისის „ლოკომოტივის“ აწ ყოფილმა მცველმა ირაკლი ვაშაკიძემ გუშინ ბერძნულ „არისთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ვაშაკიძე „ლოკომოტივიდან“ ამ ორიოდ დღის წინ აიბარგა და ბედის საძიებლად „არისს“ მიაშურა. ქართველმა მცველმა ბერძნულ კლუბში სულ ორჯერ ივარჯიშა და კლუბის ხელმძღვანელობა თავის შესაძლებლობაში დაარწმუნა. ბერძნებმაც საქმე აღარ გააჭანჭლეს და ვაშაკიძეს ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

„არისი“, რომელიც საბერძნეთის წინა ჩემპიონატში უმაღლესი ლიგიდან გავარდნას ძლივს გადაურჩა და ბოლოდან მესამე ადგილზე გავიდა, წლეულს ვაშაკიძის გარდა ერთბაშად ცხრა ფეხბურთელით გაძლიერდა. კლუბში ინგლისელი ინვესტორები მივიდნენ და როგორც ამბობენ, სერიოზული კლუბის კეთება განუზრახავთ.

ვნახოთ, ამ სერიოზული კლუბის ამბიციებს ირაკლი ვაშაკიძე როგორ დაკმაყოფილებს.

კოგა ინასარიძე

ქუთაისი. 31 ივლისი. 18 საათი. ტორპედო

ტორპედო — ლოკომოტივი

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); დ. სანაია (სოხუმი); **სფფ-ის ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

ფოთი. 31 ივლისი. 18 საათი. ფაზისი

კოლხეთი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: მ. მაისურაძე (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), მ. ელიკაშვილი (თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ზ. პეტრიაშვილი

გორი. 1 აგვისტო. 18 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

დილა — ბათუმი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე; ა. კრიჭაშვილი (ყველა თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი;

ზესტაფონი. 2 აგვისტო. 18 საათი. მეტალურგი

ზესტაფონი — თბილისი

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედია); ზ. ანიაშვილი (გორი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

თბილისი. 2 აგვისტო. 20 საათი. ეროვნული

დინამო — სიონი

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (სამივე ქუთაისი); ლ. სილაგავა (თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ჭელიძე;

ფიგუს მეფობის დასასრული

მადრიდის „რეალი“ ლუიშ ფიგუს კონტრაქტს აღარ გაუგრძელებს. ამის შესახებ გუშინ თავად ფეხბურთელმა განაცხადა, რომელიც „რეალთან“ ერთად იაპონიაშია.

„ადვოკატმა მითხრა, რომ დეკემბრის ბოლოს გუნდიდან გამიშვებენ და ჩემთან კონტრაქტის გახანგრძლივებას აღარ აპირებენ. კლუბმა ასე გადაწყვიტა და განაჩენს პატივი უნდა ვცე. ახლა მომავალზე ფიქრი მომიწევს, მაგრამ სანამ „რეალში“ ვიქნები, ბოლომდე დავიხარჯები და თავს არ დავზოგავ. ცხადია, სამომავლოდ ვარიანტები მაქვს, თუმც ამაზე ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი“ — თქვა ლუიშ ფიგუმ.

პორტუგალიელი მადრიდის „რეალში“ „ბარსელონადან“ 2000 წელს სარეკორდო თანხის, 56 მილიონი დოლარის სანაცვლოდ გადავიდა. მას კონტრაქტით კიდევ ერთი სეზონი უნდა ეთამაშა „სამეფო კლუბში“, მაგრამ, „მარკას“ ცნობით, ფლორენტინო პერესს ფიგუს გაყიდვა მანამდე სურს, სანამ „ვარსკვლავი“ გამკრთალდება.

ლადო ხომერიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის ნაკრების მწვრთნელ იურგენ კლინსმანს გუშინ 40 წელი შეუსრულდა. გუშინვე მას თანაშემწე დაუნიშნეს — 44 წლის იოახიმ ლოუვი, რომელმაც საფეხბურთო კავშირთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. კლინსმანმა და მისმა თანაშემწემ 2001 წელს ერთად გაიარეს მოკლევადიანი სამწვრთნელო კურსი და ლიცენზია აიღეს

კლინსმანს ლოუვი აჩუქეს

იოახიმ ლოუვი ოთხშაბათს ჩავიდა გერმანიაში. იგი გერჰარდ მაიერ-ფორფელდერს შეხვდა და კონტრაქტის პირობები მასთან შეათანხა.

„ის პროფესიონალია და საქმე ფრიადზე იცის. ბოლომდე ვენდობი და მჯერა, რომ ერთად წარმატებას მივაღწევთ“ — თქვა ბუნდესნაკრების თავკაცმა.

იოახიმ ლოუვი 1996-98 წლებში „შტუტგარტს“ წრთვნიდა. 1997-ში გერმანიის თასი მოიგო, მომდევნო სეზონში კი თასების მფლობელთა თასის ფინალში გავიდა და „ჩელსისთან“ დამარცხდა. მაშინ „შტუტგარტის“ პრეზიდენტი გერჰარდ მაიერ-ფორფელდერი იყო. მან მაშინ ლოუვის გარჯა დაუწუნა და გუნდიდან გაუშვა.

ლოუვი გერმანიიდან თურქეთში გადაბარგდა და „ფენერბაჰჩე“ ჩაიბარა. სტამბოლურ კლუბს 1999



წელს თურქეთის თასი მოაგებინა. მოგვიანებით სამშობლოში დაბრუნდა და „კარსლსრუეს“ მწვრთნელობა ითავა, მაგრამ გუნდი მეორე ბუნდესლიგიდან გავარდა. შემდეგ ვენის „აუსტრიაში“ აღმოჩნდა, მაგრამ მეტად უცნაური მიზეზით გაათავისუფლეს. სათადარიგოთა სკამზე მჯდომ კლუბის მენეჯერ კრონშტაინს უთხრა — აქ რატომ ხარ, შენი ადგილი ტრიბუნაზეაო. ეს თქვა და ლოუვი დაითხოვეს.

მაშ ასე, იურგენ კლინსმანი, იოახიმ ლოუვი და ოლივერ ბირჰოფი. გერმანიას პირველი ამხანაგური მატჩი 18 ავგისტოს ვენაში ავსტრიელებთან აქვს.

ვაჟა ხუციშვილი

პოკრობა ლაციოში

კაზო მივიდა, მიხაილოვიჩი წავიდა

დომენიკო კაზო

„ლაციოს“ მწვრთნელად გუშინ დომენიკო კაზო დანიშნეს, რომელიც აქამდე კლუბის ახალგაზრდებთან მუშაობდა. „ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ. იგი კარგად იცნობს გუნდს და მჯერა, რომ საქმეს თავს წარმატებით გაართმევს“ — განაცხადა რომაელთა ახალმა პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ. „ლაციოს“ მწვრთნელობის კანდიდატები იყვნენ დინო ძოფი და ჯანკარლო კამოლეზე, მაგრამ პრეზიდენტმა დომენიკო კაზო არჩია.

ახალ თავკაცს გუნდში აღარ დახვდება სინიშა მიხაილოვიჩი, რადგან 35 წლის სერბმა გუშინვე მილანის „ინტერთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„ინტერში“ კიდევ ერთი ჩემპიონი გადმოვიდა. მიხაილოვიჩი დიდებული ფეხბურთელია და მისი გამოცდილება ძალიან წაგვადგება“ — თქვა „შაე-ლურჯთა“ პრეზიდენტმა ჯაჩინტო ფაკეტიმ.

მიხაილოვიჩს „ინტერში“ ოთხი ყოფილი ლაციოელი დახვდება — მწვრთნელი რობერტო მანჩინი, დეიან სტანკოვიჩი, ჯუზეპე ფავალი და ხუან სებასტიან ვერონი.

ვაჟა ხუციშვილი

გერმანია

ლიგის თასი. 1/2 ფინალი

ვერდერი 2:0 შტუტგარტი

1:0 კლასნიჩი (30), 2:0 ვალდესი (86)

ისმაელმა ვერ გაიტანა პენალტი (26, მეკარე)

ვერდერი: რაინკე, პასანენი, ისმაელი, ფარენჰორსტი, სტალტერი, ბოროვსკი, ფ. ბაუმანი, ფ. ერნსტი (ლაგერბლომი 70), მიკუ, კლასნიჩი (პაული 79), ხარისტეასი (ნ. ვალდესი 60)

მწვრთნელი: თომას შაფი

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი (კაკაუ 80), ბაბელი, მეირა (მაისნერი 72), ლამი, ტიფერტი (ჰელდტი 66), სოლდო, ა. გლები, შტრანცლი, კურანი, საბიჩი

მწვრთნელი: მათიას ზამერი

გაფრთხილება: მიკუ, ბაბელი

მსაჯი: ფლაიშერი

12 900 მაყურებელი

ფინალი 2 აგვისტო

ბაიერნი — ვერდერი

გერმანიის ჩემპიონი და თასის მფლობელი „ვერდერი“ ლიგის თასის ფინალშიც გავიდა. ფინალი ორ აგვისტოს გაიმართება და ბრემენელ „მუსიკოსებს“ ფელიქს მაგათის „ბაიერნთან“ შეჯახება მოუწევთ.

თომას შაფმა ნახევარფინალში მათიას ზამერის მიძინებული „შტუტგარტი“ დაამარცხა.

„ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლდა, მაგრამ გუნდს ეს არ დასტყობია. თამაშით და, ცხადია, შედეგითაც ძალიან კმაყოფილი ვარ“ — თქვა შაფმა.

„ვერდერში“ ახალწვეულების, ფარენჰორსტისა და პასანენის დებიუტი შედგა. მიროსლავ კლოზემ შეხვედრა ტრავმის გამო გამოტოვა, ევროპის ჩემპიონმა ანგელოს ხარისტეასმა შეტევაში კლასნიჩთან ერთად ითამაშა, მაგრამ მწვრთნელმა ბერძენი მეორე ტაიმში შეცვალა.

ხარისტეასმა შესვენებამდე ნაღდი საგოლე მომენტი გააცუდა, მე-14 წუთზე ოთხი მეტრიდან ვერ გაიტანა. მანამდე გლებს შეეძლო „შტუტგარტის“ დაწინაურება, თუმც რაინკესთან პირისპირ გასულს მეკარემ აჯობა.

„ვერდერი“ იოლად აღწევდა მეტოქის საჯარიმომდე, რომელიც კი არ დარბოდა, დალასლასებდა. ბოროვსკიმ მცველთა ჩათვლემით ისარგებლა და კლასნიჩს საგოლე პასი გაუხერხა — 1:0. მატჩის მიწურულს ხარისტეასის ნაცვლად შესულმა ვალდესმა ჰილდებრანდი მეორედ დაამწუხრა.

„შტუტგარტის“ მწვრთნელმა მატიას ზამერმა განაცხადა: „საზიზღრად ვითამაშეთ. აქამდე თითქოს გუნდი კარგ ფორმაში იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პრობლემები კიდევ გვაქვს. ეს მარცხი საჩვენოდ უნდა გამოვიყენოთ და ბუნდესლიგის დაწყებამდე შეცდომები გამოვასწოროთ“.

ვაჟა ხუციშვილი

ისევ ეს მუსიკოსები

ფრანკ ბაუმანი კევინ კურანის გადააფრინდა

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XVII ტური

ტამპერე 6:0 ჯაზი

ინტერი 2:1 ტპ-47

მიუპა 2:1 იარო

ჰაკა	16	10	4	2	30:9	34
ინტერი	15	9	2	4	33:21	29
ტამპერე	14	8	3	3	24:10	27
ჰიკ	16	6	8	2	26:17	26
ტურკუ	15	8	2	5	25:20	26
ალიანსი	14	7	3	4	18:15	24
ტპ 47	17	7	3	7	26:24	24
კტპ	16	6	5	5	23:20	23
ლაჰტი	17	4	9	4	19:22	21
მიუპა	15	5	5	5	15:19	20
ჯაზი	16	4	4	8	24:33	16
როვანიემი	16	3	3	10	15:33	12
იარო	17	3	2	12	17:35	11
ჰამენლინა	16	1	5	10	17:34	8

ამხანაგური მატჩი

ჩელსი 3:0 რომა

1:0 კოული (11), 2:0 კეუმანი (63), 3:0 დროგბა (68)

ჩელსი: ჩეხი (პიდგელი 46), ბ. ფერეირა, გ. ჯონსონი (გალასი 46), ტერი, ბაბაიარო (ბრიჯი 46), ჯერემი (რობენი 46), მაკელელე (სმერტინი 46), პარკერი (ლამპარდი 46), ჯ. კოული (დაფი 46), გუდიონსენი (დროგბა 46), კეუმანი

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

რომა: ძოტი (კურჩი 46), კუფრე (ლანძარო 46), მექსეში (პიპოლო 46), სკურტო (ბრიოტი 46), დელასი (გრილო 46), კანდელა (სიმონეტა 46; როზი 70), ვირგა (დე მარტინო 46), დაკური, დაგოსტინო (კორვია 46), ტოტი (კერჩი 46), დელვეკიო (მონტელა 46)

მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი

გაძევება: კეუმანი (66), დაკური (66)

მსაჯი: რიკარდო ვალენსუელა (აშშ)

30 000 მაყურებელი

კივუს უცნაური შვებულება

დაკურმა და კეჟმანმა დააყარეს



კრისტიან კივუ

გუშინ რუმინელმა მცველმა, კრისტიან კივუმ ფეხის ოპერაცია გაიკეთა, რაც იმას ნიშნავს, რომ „რომა“ ერთი თვის განმავლობაში მისი დახმარების გარეშე დარჩება.

საქმე ის არის, რომ რუმინელი ბოლო რამდენიმე კვირა ვერ ვარჯიშობდა — შვებულებაში, პლაჟზე ძვალი გაიტეხა. თავიდან ექიმები ამბობდნენ, რომ ოპერაციის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო, მაგრამ შემდეგ გამოიკვეთა სამწუხარო სურათი — დრო გადიოდა, ფეხბურთელი კი არა და არ უმჯობესდებოდა.

კრისტიან კივუს ოპერაცია რომში, კლინიკა „ვილა სტიუარტში“ პროფესორებმა, მარიანიმ და რონკონიმ გაუკეთეს. ახლა ფეხბურთელმა 15 დღე უნდა დაისვენოს და შემდეგღა მისცეს თავს მსუბუქი ვარჯიშის ნება.

ამასობაში კი „რომამ“ პიტსბურგში ამხანაგური თამაში გამართა „ჩელსისთან“ და 0:3 წააგო. ამ შეხვედრაში მოედნიდან რომაელი ფრანგი ოლივიე დაკური გააძევეს.

დაკური მსაჯმა 66-ე წუთზე დაითხოვა მოედნიდან, როდესაც ლონდონელები უკვე 2:0-ს იგებდნენ. გაძევების მიზეზი დაკურისა და მატია კეუმანის კონფლიქტი გახლდათ. უფრო სწორად, დაკურმა ლონდონში გადაბარგებული ჰოლანდიელი არიენ რობენი უხეშად წააქცია, რაზეც კეუმანმა ბრაზიანი პასუხი გასცა და ატყდა კიდეც ნამდვილი ჩხუბი, რომელიც მხოლოდ ორივეს თანაგუნდელების და მსაჯების ჩარევით ჩაცხრა.

გააძევეს დაკური და, ბუნებრივია, გააძევეს კეუმანიც. ხოლო რაც შეეხება უშუალოდ ფეხბურთს, „ჩელსი“ უკვე მე-11 წუთზე დაწინაურდა, რაშიც დიდი წვლილი მადრიდის „რეალის“ყოფილმა ფეხბურთელმა ჯერემიმ შეიტანა, მოგვიანებით გაძევებულმა კეუმანმა 63-ე წუთზე მეორე გოლი შეაგდო — რობენის ჩაწოდებული ბურთი წესით „რომას“ მეკარეს, კარლო ძოტის უნდა ეხელთა, მაგრამ სერბმა ბურთი „მოპარა“ და გაუტანა.

მესამე გოლი კი დიდიე დროგბამ შეაგდო, როდესაც ფრანკ ლამპარდის დარტყმას გაგრძელება მოუნახა. ეს გახლდათ დროგბას პირველი გოლი ახალი გუნდის შემადგენლობაში. მოგეხსენებათ, იგი ახლახან გადავიდა ინგლისში „მარსელიდან“.

ბაბუნა კედია

ჯანფრანკო ძოლა

არის, კალიარის კონტრაქტი!

„კალიარის“ და ჯანფრანკო ძოლას შორის ახალი ხელშეკრულება გაფორმდა. ყველაფერი მოგვარებულია, 38 წლის ვარსკვლავყოფილი კლუბთან უკვე ყოველ წვრილმანზე შეთანხმებულა და, როგორც სარდინიიდან ჩამოსული ხმები ადასტურებენ, დოკუმენტზეც მოაწერა ხელი. ამბობენ, რომ ახალი კონტრაქტი ერთწლიანია.

შეგახსენებთ, ძოლა მშობლიური ქალაქის გუნდში ერთი წლის წინ დაბრუნდა, მანამდე ინგლისური პრემიერლიგის ერთ-ერთ გოლიათს, „ჩელსის“ ემსახურებოდა ერთგულად. ის, რომ „კალიარი“ სერია B-დან სერია A-ში ავიდა, ყველაზე მეტად სწორედ „სკუადრა აძურას“ ყოფილი ვარსკვლავის დამსახურებაა, მაგრამ მოგეხსენებათ, სულ ახლახან კლუბსა და მოთამაშეს შორის გაუგებრობა მოხდა და მიუხედავად ძოლას სურვილისა, შესაძლოა, ხელშეკრულება, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, არც შემდგარიყო.

„ჩვენ გოლფის სათამაშოდ შევიყარეთ და ასე გადავჭერით ჩვენს შორის არსებული გაუგებრობები — განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა მასიმო სელინომ — მართალი გითხრათ, ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ძოლას ჩვენთან დარჩენას შესაძლოა რაიმე კითხვისნიშანი დასმოდა, დასძინა, მაგრამ დამატებით საკითხებთან დაკავშირებით გაუგებრობა მართლაც წარმოიშვა. მაგრამ ძოლა ჩვენთან უნდა დარჩეს და ეს ჩემი გადაწყვეტილებაა. საქმე ის გახლავთ, რომ კარგად ვიცი, თუ რა წვლილის შეტანა შეუძლია ჩვენს მომავალ წარმატებებში ამ ფეხბურთელს“.

ბაბუნა კედია

ებე სანდმა მეწყვილე მოიწონა

„შალკეს“ დანიელ თავდამსხმელს, ებე სანდს სწამს, რომ ბუნდესლიგის გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირთან, ბრაზილიელ აილტონთან, რომელიც ამ ზაფხულს მისი თანაგუნდელი გახდა, ჩინებულ პარტნიორობას ააწყობს

გელზენკირხენის კლუბი ახალ სეზონში ერთ-ერთი უმაღლესი ადგილის მოპოვებას აპირებს და, როგორც სატრანსფერო სეზონმა დაგვანახა, ამას ორი ჩინებული თავდამსხმელის შეწყვილებით აპირებს.

„ახლა, როდესაც გადავწყვიტე, რომ სანაკრებო ფეხბურთს ჩამოვცილდე, თავს კომფორტულად ვგრძნობ, რადგან მთელი ენერგიის დახარჯვა საკლუბო საქმეებზე მიწევს — განაცხადა სანდმა — ვფიქრობ, ძალიან კარგი სეზონიც გველის, რადგან ბევრი ახალი ფეხბურთელი დავიმატეთ, რომელთაგან აილტონს გამოვარჩევდი.

აილტონის ჩვენთან გადმოსვლა ძალიან დადებითი მოვლენა მგონია. ის მეტად მაგონებს ჩემს ყოფილ მეწყვილეს, ბელგიელ ემილ მპენზას, რომელთანაც დიდებულად მქონდა საერთო ენა გამონახული“.

32 წლის სანდი მიიჩნევს, რომ ზაფხულის პირობაზე ჩინებულ ფორმაშია. ასეთი რამ კი, კარგა ხანია არ უგრძვნია.

„წინა წლებისგან განსხვავებით, სამკვირიანი შვებულება მერგო და კარგადაც დავისვენე. თუმც ცხადია, ასი პროცენტით ჯერ არ ვარ მზად, მაგრამ ჯერ არც უნდა ვიყო“ — დააგვირგვინა სანდმა.

ბაბუნა კედია

პერუციმ ახალ პატრონს მოუნერა

ცნობილი მეკარე ანჯელო პერუცი კარიერას „ლაციოში“ დაასრულებს. მან რომაულ კლუბს ახალი კონტრაქტი გაუფორმა. პერუცისა და „ლაციოს“ ხელშეკრულება 2007 წლამდეა. აღსანიშნავია, რომ ის, რაც დოკუმენტში წერია, მეკარეს კლუბის წარმომადგენლებთან ადრევე, რამდენიმე თვის წინ ჰქონდა შეთანხმებული, მაგრამ ახლა, როდესაც „ლაციოს“ ახალი მეპატრონე და პრეზიდენტი მიუვიდა, მხარეებმა კონტრაქტზე ხელიც მოაწერეს და დოკუმენტმა იტალიის საფეხბურთო ლიგაში რეგისტრაცია გაიარა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ხანებში დაირხა ჭორი, თითქოს 34 წლის მეკარე „მილანში“ გადადიოდა, მაგრამ, როგორც ვთქვით, ფეხბურთელმა იქ დარჩენა ამჯობინა, სადაც 2000 წელს „ინტერიდან“ გადაბარგდა.

ახლახან, ევრო 2004-ზე ანჯელო პერუცი ჯოვანი ტრაპატონის მესამე მეკარედ ჰყავდა წაყვანილი. საინტერესოა, რომ როგორც კი ჩემპიონატიდან დაბრუნდა, პერუციმ პირდაპირ „ლაციოს“ საწვრთნელ ცენტრს მიაშურა და კლუბთან ერთად, ყოველგვარი შვებულების გარეშე განაგრძო ვარჯიში.

ბაბუნა კედია

ქალიც ალაპარაკდა

ფერიამ ერიკსონს სექსში ტექნიკური წუნი უპოვა

ეს რა კარგი რამ ჩაიდინა სვენ გორან ერიკსონმა, ამ პაპანაქებაში ცოცხლად და ეშმაკური ღიმილით საწერ-საკითხავი თემა რომ აგვიწია „სატოპკედ“. მას რომ ქალბატონ ფერია ელამთან არ გაელაღა, ვერც ჩვენ გავილაღებდით და საკმაოდ მოსაწყენი სატრანსფერო ცნობების წერითა და კითხვით ვიქნებოდით მთელი ზაფხული დაკავებული





ორი სიტყვით შეგახსენებთ: ერიკსონმა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის 38 წლის მდივანი ფერია ელამი შეაცდინა, ხოლო ელამი იმავდროულად ერიკსონის შეფის და ასოციაციის ერთ-ერთი დიდმოხელის, მარკ პელიოსის სატრფო გამოდგა. ერიკსონის და ელამის ამბავი შეიტყო ყვითელმა პრესამ, თუმცა ერიკსონმა შორს დაიჭირა, რა სისულელეაო. ამ პასუხზე დაყრდნობით ასოციაციამ ოფიციალური განაცხადი გააკეთა, რა სისულეაო, მაგრამ გაირკვა, რომ არაფერიც არ იყო სისულელე. ამაზე ასოციაცია განრისხდა და ერიკსონის სამსახურიდან გაგდება მოინდომა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს იოლი საქმე არ არის, რადგან მწვრთნელთან კონტრაქტით არის შეკრული და თუ გაუშვეს, დიდძალი ფულიც (შესაძლოა, მთელი 14 მილიონი გირვანქაც) უნდა გაატანოს.

ერთი სიტყვით, არაფერი გარკვეულა, ეს კი ტაბლოიდებისთვის დიდებული დროა. და აი, მაგალითიც: გუშინდელ „სანში“ ფერია ელამი ალაპარაკდა (ნეტავ ამაში რამდენი მოითხოვა?) იგი ამბობს, რომ

სვენი ლოგინში არ ვარგოდა

როგორც ქალბატონი ფერია ელამი ყვება (მარკ პელიოსმა მასთან ურთიერთობა გაწყვიტა) ინგლისის ნაკრების მწვრთნელი მას ყოველდღე ურეკავდა და რომანტიკული განწყობის საუბრებს უბამდა. და, იცით, საიდან ურეკავდა ელამს ერიკსონი? პორტუგალიიდან, სადაც ინგლისის ნაკრები ჰყავდა ევრო 2004-ზე წაყვანილი.

ქალბატონი ელამი იგონებს, რომ სვენი მას კომპლიმენტებით ამკობდა და წუწუნებდა, რომ ასეთი

და ასეთი საყვარელი, ნენსი დელოლიო ჰყავს.

ქალბატონი ელამის ახლო მეგობარი ემბრინ შიეხი: ფერიამ მითხრა, რომ სვენი ყოველდღე ურეკავდა და ეუბნებოდა, თუ როგორ ცდილობდა ნენსისგან დასხლტომას. მისი თქმით, ნენსის საყვარლობა აღარ აკმაყოფილებდა, რაზეც ფერიას უთქვამს, რომ მაშინ მისთვის ნენსის დატოვება იქნებოდა ყველაზე სწორი, მაგრამ სვენს მიუგია, ეს საკმაოდ ძნელი საქმეა და დროს მოითხოვსო.

როგორც ემბრინ შეიხი ამბობს, ფერია მიხვდა, რომ სვენის ნენსისთან განშორება ქონების და წილების გაყოფასთან იყო დაკავშირებული, ხოლო ნამდვილი პრობლემა ის გახლდათ, რომ ნენსიმ ბოლო დროს ტელეშოუებში გამოსვლას და ერიკსონთან ცხოვრების სექსუალურ მხარეზე ლაპარაკს მოუხშირა.

„ფერიამ მითხრა, რომ სვენი დაზაფრულს ჰგავდა, რადგან ნენსიმ ტელეშოუში არარსებული რაღაცეები ახსენა. მოკლედ, ყველაფერი შოუსთვის იყო შეთხზული“ — თქვა ემბრინმა.

მოკლედ, სურათი ასეთია: ამ გაზაფხულიდან მოყოლებული სვენი ფერია ელამს ან სამსახურში ხვდება ან გაუთავებლად ურეკავს, ის კი იცის, რომ ქალს მისი შეფი, მარკ პელიოსი უყვარს. მეორე მხრივ ხდება ასეთი რამ: პელიოსს ელამი პარიზში მიჰყავს, მაგრამ იქიდან დაბრუნებული აშკარად ცივდება მის მიმართ, რასაც იმით ხსნის, რომ მათი ურთიერთობა უფრო კარგად უნდა შეინიღბოს. ამის შემყურე ფერია ეჭვობს, რომ პელიოსს მისი მიტოვება უნდა და აქცენტი სვენზე გადააქვს, რასაც სვენი, ცხადია, აქტიურობით პასუხობს.

როგორც ემბრინ შიეხი ბრძანებს, ფერია სვენის ლოგინში ჩაწოლით მარკ პელიოსზე იძიებდა შურს, მაგრამ აი, დადგა მათი პირველი პაემანის დღე და ქალი მიხვდა, რომ შეცდა — სვენიმ სექსში ვერ ივარგა.

მოკლედ, ქალბატონი ელამი პრობლემების წინაშეა — საწოლში სხვა უნდა, სვენზე კი ამბობს, რომ კეთილი და კარგი ადამიანია, რომელთანაც იცხოვრებდა, ოღონდ... ოფიციალურად, დამალვის გარეშე.

დასკვნა: სვენ გორან ერიკსონი უსინდისოა. სექსში არ ვარგა და ქალი მაინც რომ არ გაურბის, ამის დაფასება არ უნდა, თავის მხრივ მსხვერპლის გაღებას არც ფიქრობს.

სვენის ინტერვიუ

ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ჟურნალისტებთან შეხვედრას შინ, შვედეთში დათანხმდა და თქვა:

„ჩემი წესი პირად ცხოვრებაზე არაფრის თქმაა. ეს წესი აქამდე სრულიად გასაგები იყო ინგლისის ფეხბურთის ასოციაციისთვის, თუმც ბოლო ამბებმა გული დამწყვიტა, განსაკუთრებით კი იმ კომენტარებმა, რომლებიც ჩემს პროფესიულ ღირსებას შეეხო“.

ამის შემდეგ ერიკსონმა განმარტა, რომ ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ გააკეთა, მისი ხელი საერთოდ არ ურევია და მას არასოდეს არც დაუალტერებია და არც უარყვია ქალბატონ ელამთან ურთიერთობა. რაღაცა ამ თემაზე საუბარი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასთან არ ჰქონია.

„და მაინც, მივესალმები შემდეგ კვირაში ასოციაციასთან ამ საკითხზე საუბრის საშუალებას და ძველებურად მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ კამპანიაზე ვფიქრობ“.

ამის მეტს სვენ გორან ერიკსონი საქმის დასრულებამდე აღარაფერს იტყვის.

დევიდ დევისი ნაწყენია

დევიდ დევისი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის შეფი გახლავთ, რომელიც როგორც ერთი მისი მეგობარი ამბობს (ნეტავ ამაში რამდენი აიღო?) ძალიან ნაწყენია, რადგან სვენ გორან ერიკსონმა იცრუა. კერძოდ, ერიკსონმა განაცხადა, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის შეფებთან ქალბატონი ფერია ელამის საკითხზე არ ულაპარაკია, მაშინ, როდესაც მას სწორედ დევიდ დევისმა დაურეკა და ჰკითხა, ჰქონდა თუ არა ამ ქალთან ურთიერთობა, რაზეც სვენმა მიუგო: „რა სისულელეა“.

დევიდ ბექემი კაცურად დადგა

„ჩემთვის სვენ გორან ერიკსონს სიკეთის მეტი არაფერი გაუკეთებია. იგივე შემიძლია თქვა სხვა ფეხბურთელებზეც. თითოეული ჩვენგანი მას, როგორც მწვრთნელს დიდ პატივს სცემს და იცის, რომ მან როგორც გუნდისთვის, ასევე მთელი ქვეყნისთვის ბევრი გააკეთა. ამ განცხადებას ვაკეთებ როგორც პიროვნება და როგორც კაპიტანი. ეჭვი არ მეპარება, რომ ჩემი თანაგუნდელების აზრსაც გამოვხატავ.

ერიკსონი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია, რომელთანაც დიდი სიამოვნებით ვმუშაობ და იმედი მაქვს, რომ მომავალშიც ასე გაგრძელდება“ — განაცხადა დევიდ ბექემმა.

პაპუნა კედია



ჰოლანდია. I დივიზიონი 2004-2005

2004 წელი

1-ლი ტური: 13-14-15 აგვისტო

როდა : ვიტესი
ბრედა : უტრეხტი
როზენდალი : პსვ
ნაიმეგენი : ტილბურგი
ალკმაარი : ჰერენვენი
დენ ბოსხი : დენ ჰააგი
ტვენტე : აიაქსი
ფეიენოორდი : გრააფსხაპი
გრონინგენი : ვალვაიკი

მე-2 ტური: 20-21-22 აგვისტო

ვიტესი : გრონინგენი
ჰერენვენი : როდა
დენ ჰააგი : ნაიმეგენი
პსვ : ალკმაარი
ვალვაიკი : ტვენტე
უტრეხტი : როზენდალი
აიაქსი : ბრედა
გრააფსხაპი : დენ ბოსხი
ტილბურგი : ფეიენოორდი

მე-3 ტური: 27-28-29 აგვისტო

დენ ბოსხი : ტილბურგი
ტვენტე : ჰერენვენი
როდა : გრააფსხაპი
ნაიმეგენი : ალკმაარი
ბრედა : პსვ
ვიტესი : ფეიენოორდი
როზენდალი : გრონინგენი
აიაქსი : უტრეხტი
ვალვაიკი : დენ ჰააგი

მე-4 ტური: 10-11-12 სექტემბერი

ალკმაარი : დენ ბოსხი
ჰერენვენი : გრააფსხაპი
როზენდალი : ვიტესი
დენ ჰააგი : აიაქსი
პსვ : ვალვაიკი
ტილბურგი : როდა
ფეიენოორდი : ტვენტე
გრონინგენი : ბრედა
უტრეხტი : ნაიმეგენი

მე-5 ტური: 17-18-19 სექტემბერი

დენ ჰააგი : ვიტესი
გრააფსხაპი : გრონინგენი
ტვენტე : ტილბურგი
ვალვაიკი : როზენდალი
ნაიმეგენი : პსვ
ფეიენოორდი : უტრეხტი
როდა : ალკმაარი
დენ ბოსხი : აიაქსი
ჰერენვენი : ბრედა

მე-6 ტური: 24-25-26 სექტემბერი

პსვ : ჰერენვენი
ვიტესი : დენ ბოსხი
ალკმაარი : ტილბურგი
როზენდალი : ფეიენოორდი
ბრედა : ვალვაიკი
აიაქსი : როდა
გრონინგენი : ნაიმეგენი
გრააფსხაპი : ტვენტე
უტრეხტი : დენ ჰააგი

მე-7 ტური: 1-2-3 ოქტომბერი

ნაიმეგენი : როზენდალი
ტვენტე : როდა
ბრედა : გრააფსხაპი
პსვ : გრონინგენი
ტილბურგი : ვიტესი
ჰერენვენი : დენ ჰააგი
უტრეხტი : ვალვაიკი
ფეიენოორდი : დენ ბოსხი
ალკმაარი : აიაქსი

მე-8 ტური: 15-16-17 ოქტომბერი

გრააფსხაპი : ალკმაარი
დენ ჰააგი : პსვ
აიაქსი : ჰერენვენი

წინა სეზონში საჩემპიონო შამპანური აიაქსელებმა დალიეს

დენ ბოსხი : როზენდალი
გრონინგენი : უტრეხტი
ვიტესი : ბრედა
როდა : ფეიენოორდი
ვალვაიკი : ნაიმეგენი

მე-9 ტური: 22-23-24 ოქტომბერი

ტილბურგი : გრონინგენი
ჰერენვენი : უტრეხტი
ნაიმეგენი : ბრედა
როზენდალი : ტვენტე
ვიტესი : ალკმაარი
პსვ : აიაქსი
ფეიენოორდი : ვალვაიკი
როდა : დენ ბოსხი
გრააფსხაპი : დენ ჰააგი

გადადებული მატჩები: 27 ოქტომბერი

დენ ჰააგი : ტვენტე
ბრედა : როდა
გრააფსხაპი : ტილბურგი

მე-10 ტური: 29-30-31 ოქტომბერი

უტრეხტი : პსვ
ტილბურგი : როზენდალი
როდა : ვალვაიკი
ტვენტე : ვიტესი
გრონინგენი : დენ ჰააგი
დენ ბოსხი : ჰერენვენი
ალკმაარი : ფეიენოორდი
აიაქსი : ნაიმეგენი

მე-11 ტური: 5-6-7 ნოემბერი

როზენდალი : გრააფსხაპი
ვალვაიკი : ჰერენვენი
ვიტესი : ნაიმეგენი
ტილბურგი : აიაქსი
დენ ბოსხი : პსვ
ტვენტე : გრონინგენი
ალკმაარი : უტრეხტი
ფეიენოორდი : ბრედა

მე-12 ტური: 12-13-14 ნოემბერი

დენ ჰააგი : როზენდალი
პსვ : ტილბურგი
ნაიმეგენი : ტვენტე
ჰერენვენი : ვიტესი
ბრედა : ალკმაარი
ვალვაიკი : გრააფსხაპი
უტრეხტი : როდა
გრონინგენი : დენ ბოსხი
აიაქსი : ფეიენოორდი

მე-13 ტური: 19-20-21 ნოემბერი

როდა : დენ ჰააგი
გრააფსხაპი : აიაქსი
ალკმაარი : ვალვაიკი
როზენდალი : ჰერენვენი
ვიტესი : პსვ
ტილბურგი : ბრედა
ტვენტე : უტრეხტი
დენ ბოსხი : ნაიმეგენი
ფეიენოორდი : გრონინგენი

მე-14 ტური: 26-27-28 ნოემბერი

ვალვაიკი : ვიტესი
დენ ჰააგი : ტილბურგი
ჰერენვენი : ფეიენოორდი
ნაიმეგენი : როდა
პსვ : ტვენტე
აიაქსი : როზენდალი
უტრეხტი : გრააფსხაპი
გრონინგენი : ალკმაარი

მე-15 ტური: 3-4-5 დეკემბერი

ვალვაიკი : აიაქსი
როდა : გრონინგენი
გრააფსხაპი : პსვ
ტვენტე : დენ ბოსხი
როზენდალი : ბრედა
ალკმაარი : დენ ჰააგი
ვიტესი : უტრეხტი
ტილბურგი : ჰერენვენი
ფეიენოორდი : ნაიმეგენი

მე-16 ტური: 10-11-12 დეკემბერი

ჰერენვენი : გრონინგენი
დენ ბოსხი : ვალვაიკი
ტილბურგი : უტრეხტი
ალკმაარი : ტვენტე
როდა : როზენდალი
ბრედა : დენ ჰააგი
ფეიენოორდი : პსვ
აიაქსი : ვიტესი
გრააფსხაპი : ნაიმეგენი

მე-17 ტური: 17-18-19 დეკემბერი

ტვენტე : ბრედა
ვიტესი : გრააფსხაპი
პსვ : როდა
როზენდალი : ალკმაარი
ვალვაიკი : ტილბურგი
ნაიმეგენი : ჰერენვენი
გრონინგენი : აიაქსი
უტრეხტი : დენ ბოსხი
დენ ჰააგი : ფეიენოორდი

2005 წელი

მე-18 ტური: 21-22-23 იანვარი

ალკმაარი : ნაიმეგენი
პსვ : ბრედა
ტილბურგი : ტვენტე
ჰერენვენი : დენ ბოსხი
გრააფსხაპი : როდა
დენ ბოსხი : გრონინგენი
როზენდალი : ვალვაიკი
უტრეხტი : აიაქსი
ფეიენოორდი : ვიტესი

მე-19 ტური: 28-29-30 იანვარი

როდა : ტილბურგი
ბრედა : ჰერენვენი
დენ ბოსხი : ალკმაარი
ვიტესი : როზენდალი
ტვენტე : ფეიენოორდი
გრონინგენი : გრააფსხაპი
ვალვაიკი : პსვ
აიაქსი : დენ ჰააგი
ნაიმეგენი : უტრეხტი

მე-20 ტური: 2-4-5-6 თებერვალი

პსვ : როზენდალი
ტილბურგი : ნაიმეგენი
დენ ჰააგი : დენ ბოსხი
ჰერენვენი : ალკმაარი
გრააფსხაპი : ფეიენოორდი
აიაქსი : ტვენტე
ვიტესი : როდა
უტრეხტი : ბრედა
ვალვაიკი : გრონინგენი

21-ე ტური: 11-12-13 თებერვალი

გრონინგენი : ვიტესი
როდა : ჰერენვენი
ალკმაარი : პსვ
ტვენტე : ვალვაიკი
როზენდალი : უტრეხტი
ნაიმეგენი : დენ ჰააგი
დენ ბოსხი : გრააფსხაპი
ფეიენოორდი : ტილბურგი
ბრედა : აიაქსი

22-ე ტური: 18-19-20 თებერვალი

როზენდალი : ტილბურგი
გრააფსხაპი : ჰერენვენი
ალკმაარი : როდა
პსვ : ნაიმეგენი
აიაქსი : დენ ბოსხი
გრონინგენი : ტვენტე
ვალვაიკი : ბრედა
უტრეხტი : ფეიენოორდი
ვიტესი : დენ ჰააგი

23-ე ტური: 25-26-27 თებერვალი

ნაიმეგენი : ვალვაიკი
ჰერენვენი : პსვ
ბრედა : გრონინგენი
ტილბურგი : ალკმაარი
ტვენტე : გრააფსხაპი
დენ ბოსხი : ვიტესი
როდა : აიაქსი
დენ ჰააგი : უტრეხტი
ფეიენოორდი : როზენდალი

24-ე ტური: 4-5-6 მარტი

გრააფსხაპი : ბრედა
გრონინგენი : პსვ
ვალვაიკი : უტრეხტი
დენ ჰააგი : ჰერენვენი
აიაქსი : ალკმაარი
როდა : ტვენტე
დენ ბოსხი : ფეიენოორდი
როზენდალი : ნაიმეგენი
ვიტესი : ტილბურგი

25-ე ტური: 11-12-13 მარტი

ტვენტე : როზენდალი
ბრედა : ვიტესი
ალკმაარი : გრააფსხაპი
ჰერენვენი : ვალვაიკი
ტილბურგი : დენ ბოსხი
პსვ : დენ ჰააგი
ნაიმეგენი : აიაქსი
უტრეხტი : გრონინგენი
ფეიენოორდი : როდა

26-ე ტური: 18-19-20 მარტი

დენ ბოსხი : როდა
გრააფსხაპი : როზენდალი
ვალვაიკი : ფეიენოორდი
ალკმაარი : ვიტესი
ბრედა : ნაიმეგენი
უტრეხტი : ჰერენვენი
აიაქსი : პსვ
გრონინგენი : ტილბურგი
ტვენტე : დენ ჰააგი

27-ე ტური: 1-2-3 აპრილი

ვიტესი : ტვენტე
პსვ : უტრეხტი
ჰერენვენი : აიაქსი
დენ ჰააგი : ვალვაიკი
ტილბურგი : გრააფსხაპი
ნაიმეგენი : გრონინგენი
ფეიენოორდი : ალკმაარი
როზენდალი : დენ ბოსხი
როდა : ბრედა

28-ე ტური: 8-9-10 აპრილი

უტრეხტი : ალკმაარი
ჰერენვენი : ტვენტე
პსვ : დენ ბოსხი
დენ ჰააგი : გრააფსხაპი
აიაქსი : ტილბურგი
ბრედა : ფეიენოორდი
გრონინგენი : როზენდალი
ნაიმეგენი : ვიტესი
ვალვაიკი : როდა

29-ე ტური: 15-16-17 აპრილი

როდა : უტრეხტი
ვიტესი : ჰერენვენი
როზენდალი : დენ ჰააგი
ალკმაარი : ბრედა
გრააფსხაპი : ვალვაიკი
ტვენტე : ნაიმეგენი
ტილბურგი : პსვ
ფეიენოორდი : აიაქსი
დენ ბოსხი : გრონინგენი

30-ე ტური: 22-23-24 აპრილი

ჰერენვენი : როზენდალი
ვალვაიკი : ალკმაარი
დენ ჰააგი : როდა
პსვ : ვიტესი
ბრედა : ტილბურგი
აიაქსი : გრააფსხაპი
უტრეხტი : ტვენტე
ნაიმეგენი : დენ ბოსხი
გრონინგენი : ფეიენოორდი

31-ე ტური: 1 მაისი

როდა : ნაიმეგენი
ტვენტე : პსვ
ვიტესი : ვალვაიკი
როზენდალი : აიაქსი
ალკმაარი : გრონინგენი
ტილბურგი : დენ ჰააგი
დენ ბოსხი : ბრედა
ფეიენოორდი : ჰერენვენი
გრააფსხაპი : უტრეხტი

32-ე ტური: 6-7-8 მაისი

ბრედა : როზენდალი
დენ ბოსხი : ტვენტე
დენ ჰააგი : ალკმაარი
პსვ : გრააფსხაპი
ჰერენვენი : ტილბურგი
ნაიმეგენი : ფეიენოორდი
გრონინგენი : როდა
აიაქსი : ვალვაიკი
უტრეხტი : ვიტესი

33-ე ტური: 15 მაისი

ნაიმეგენი : გრააფსხაპი
ვალვაიკი : დენ ბოსხი
როზენდალი : როდა
ვიტესი : აიაქსი
დენ ჰააგი : ბრედა
ტვენტე : ალკმაარი
უტრეხტი : ტილბურგი
გრონინგენი : ჰერენვენი
პსვ : ფეიენოორდი

34-ე ტური: 22 მაისი

აიაქსი : გრონინგენი
ალკმაარი : როზენდალი
ტილბურგი : ვალვაიკი
გრააფსხაპი : ვიტესი
დენ ბოსხი : უტრეხტი
ბრედა : ტვენტე
ჰერენვენი : ნაიმეგენი
ფეიენოორდი : დენ ჰააგი
როდა : პსვ

სარგებელი ᲓᲘᲠᲘᲥᲢᲝᲠᲘ

ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ

ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲤᲡᲝᲜᲔᲑᲡ ᲒᲐᲔᲪᲜᲝᲑᲘᲗ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). I ტური.						
		31 ივლისი						
16.00	004	მიუნსტერი-ფორტუნა	2,0	3,3	3,2	1,24	1,23	1,62
16.00	005	ვუპერტალი-ზპ.პაული	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
16.00	006	კილი-ჰამბურგი(მ)	1,85	3,3	3,5	1,18	1,21	1,69
16.00	007	ურდინგენი-პადერბორნი	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
16.00	008	ბრაუნშვაიგი-დორტმუნდი(მ)	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
		1 აგვისტო						
15.30	009	ჰერტა(მ)-უნიონი	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
16.00	010	ვოლფსბურგი(მ)-არმინია(მ)	1,85	3,3	3,5	1,18	1,21	1,69
16.00	011	კიოლნი(მ)-ოსნაბრიუკი	3,0	3,3	2,1	1,57	1,23	1,28
		ავსტრია. ბუნდესლიგა. III ტური						
		31 ივლისი						
21.30	014	ზალცბურგი-ტიროლი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64
21.30	015	შტურმი-ადმირა	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84
21.30	016	ბრეგენცი-გრაცერი	3,8	3,3	1,8	1,76	1,22	1,16
21.30	017	მატერსბურგი-პაშინგი	2,7	3,1	2,4	1,44	1,27	1,35
		1 აგვისტო						
21.30	018	აუსტრია-რაპიდი	2,05	3,1	3,4	1,23	1,27	1,62
		შვეიცარია. სუპერლიგა. III ტური						
		31 ივლისი						
21.30	033	ქსამაქსი-აარაუ	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84
21.30	034	ციურიხი-თუნი	1,9	3,2	3,6	1,19	1,24	1,69
21.30	035	შაფჰაუზენი-სტ.გალენი	2,45	3,2	2,5	1,38	1,23	1,4
		შვეიცარია. ჩელენჯლიგა. I ტური						
		31 ივლისი						
18.30	039	კონკორდია-კრინსი	2,1	3,2	3,0	1,26	1,23	1,54
19.00	040	ვილი-ვოლენი	1,8	3,2	3,6	1,15	1,19	1,69
19.30	041	ბულე-ბელინცონა	2,25	3,2	2,7	1,32	1,22	1,46
21.30	042	ივერდონი-ვინტერთური	1,6	3,5	4,6	1,09	1,18	1,98
21.30	043	ლუცერნი-შო დე ფონი	1,6	3,5	4,6	1,09	1,18	1,98
21.30	044	ლუგანო-იუვენტუსი	1,6	3,5	4,6	1,09	1,18	1,98
21.30	045	სიონი-ბულმე	1,45	3,6	6,0	1,03	1,16	2,25
		1 აგვისტო						
18.00	046	ვადუცი-მეირინი	1,5	3,6	5,3	1,05	1,16	2,14
		დანია. სუპერლიგა. II ტური						
		31 ივლისი						
19.00	049	მიდტიულანდი-ოდენსე	2,05	3,3	3,2	1,26	1,24	1,62
		1 აგვისტო						
17.00	050	რანდერსი-ჰერფიოლგე	2,45	3,2	2,5	1,38	1,23	1,4
17.00	051	სილკებორგი-ორჰუსი	2,3	3,2	2,8	1,33	1,26	1,49
17.00	052	ოლბორგი-ნორდსიელანდი	1,7	3,4	4,4	1,13	1,22	1,91
17.00	053	ბრიონდბიუ-ვიბორგი	1,5	3,8	5,6	1,07	1,18	2,26
19.35	054	კოპენჰაგენი-ესბიერგი	1,75	3,4	4,0	1,15	1,21	1,83
		დანია. I დივიზიონი. I ტური						
		31 ივლისი						
17.00	057	ჰელერუპი-ნიკიობინგი	2,5	3,5	2,25	1,45	1,18	1,36
17.00	058	სკიოლდი-ფრემადი	1,75	3,6	3,5	1,17	1,16	1,77
		1 აგვისტო						
15.00	060	ფრემი-დალუმი	1,35	4,6	5,0	1,04	1,06	2,39
15.00	061	იოლსტიკე-ჰორსენსი	2,4	3,6	2,3	1,44	1,17	1,4
17.00	062	კიოგე-ბ 93	1,3	4,6	7,0	1,01	1,09	2,77
17.00	063	ნესტვედი-ვეილე	2,6	3,6	2,15	1,5	1,17	1,34
15.00	064	სიონდერიისკე-აკადემისკი	1,95	3,6	3,0	1,26	1,18	1,63
		შვედეთი. ალსვენსკა. XIV ტური						
		31 ივლისი						
18.00	069	კალმარი-იურგორდენი	2,7	3,1	2,4	1,44	1,27	1,35
		1 აგვისტო						
19.00	070	იორებრო-იორგრიტე	2,25	3,2	2,9	1,32	1,26	1,52
19.00	071	აიკ-მალმიო	2,8	3,2	2,3	1,49	1,26	1,33
		2 აგვისტო						
21.00	072	ლანდსკრონა-ჰალმსტადი	3,0	3,2	2,2	1,54	1,26	1,3
21.00	073	ელფსბორგი-სუნდსვალი	2,0	3,2	3,4	1,25	1,25	1,7
21.00	074	ტრელებორგი-ჰამარბი	3,8	3,3	1,8	1,76	1,22	1,16
		შვედეთი. სუპერეტა. XVII ტური						
		1 აგვისტო						
17.00	086	ბოდენსი-ნორჩიოპინგი	3,3	3,2	2,0	1,62	1,24	1,23
18.00	087	ფრისკა-გეფლე	3,6	3,3	1,8	1,72	1,19	1,16
20.00	088	ასირისკა-ვესტეროსი	1,65	3,5	4,4	1,12	1,2	1,94
20.00	089	ატვიდაბერგი-ოპერა	2,1	3,3	3,0	1,28	1,23	1,57
20.00	090	ბრაგე-გაის	3,1	3,3	2,05	1,59	1,23	1,26
20.00	091	ბრომაპოიარნა-ფალკენბერგი	1,65	3,5	4,4	1,12	1,2	1,94
20.00	092	ენჩიოპინგი-ფრიოლუნდა	2,7	3,3	2,25	1,48	1,22	1,33
20.00	093	ჰეკენი-იოსტერსი	1,55	3,5	5,3	1,07	1,19	2,1
		ნორვეგია. ტიპელიგა. XVI ტური						
		1 აგვისტო						
20.00	096	ლინი-ოდ გრენლანდი	1,95	3,3	3,4	1,22	1,23	1,67
20.00	097	ლილესტრიომი-ტრომსიო	1,8	3,3	3,8	1,16	1,22	1,76
20.00	098	ბოდიო გლიმტი-სოგნდალი	1,9	3,4	3,4	1,21	1,21	1,7
20.00	099	სტაბეკი-ჰამარი	2,15	3,3	3,0	1,3	1,25	1,57
20.00	100	ფრედრიკსტადი-მოლდე	2,7	3,3	2,3	1,48	1,24	1,35
22.05	101	ვიკინგი-რუსენბორგი	4,0	3,4	1,75	1,83	1,21	1,15
		2 აგვისტო						
21.00	102	ბრანი-ვოლერენგა	2,1	3,3	3,1	1,28	1,25	1,59
		ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XVII ტური						
		1 აგვისტო						
19.30	108	ინტერი-მიუპა	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
19.30	109	ალიანსი-ტურკუ	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
19.30	110	ჰაამეენლინა-ჯაზი	2,35	3,2	2,6	1,35	1,23	1,43
19.30	111	როვანიემი-ტამპერე	3,2	3,2	2,05	1,6	1,24	1,24
		ირლანდია. პრემიერლიგა. XXI ტური						
		2 აგვისტო						
22.00	120	შემროკი-ლონგფორდი	1,75	3,2	4,2	1,13	1,23	1,81
22.45	121	დროგედა-კორკი	2,3	3,1	2,8	1,32	1,26	1,47
		სლოვაკეთი. I ლიგა. II ტური						
		31 ივლისი						
20.00	136	რუჟომბეროკი-დუბნიცა	1,7	3,4	4,2	1,13	1,21	1,87
22.00	137	ჟილინა-პეტრჟალკა	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
22.00	138	ტრენჩინი-სობოტა	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8
		1 აგვისტო						
19.30	139	ტრნავა-პუხოვი	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
20.00	140	ინტერი-ბ.ბისტრიცა	2,6	3,1	2,4	1,41	1,24	1,35

ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲓᲐᲐᲖᲣᲡᲢᲔᲗ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ხორვატია. 1.HNL. II ტური						
		31 ივლისი						
20.00	143	ოსიეკი-ზადარი	1,65	3,4	4,4	1,11	1,2	1,91
20.00	144	ჰულა-დინამო	5,6	3,8	1,45	2,26	1,15	1,04
20.00	146	ინტერი-მედიმურიე	1,5	3,6	5,3	1,05	1,16	2,14
22.00	147	რიეკა-კამენი	1,8	3,2	3,6	1,15	1,19	1,69
22.45	148	ჰაიდუკი-ზაგრები	1,25	4,6	8,0	1	1,08	2,92
		1 აგვისტო						
20.00	145	ვარტექსი-სლავენი	1,8	3,3	3,5	1,16	1,18	1,69
		სლოვენია. სი მობილ ლიგა. I ტური						
		31 აგვისტო						
19.30	152	კოპერი-გორიცა	2,25	3,0	2,8	1,28	1,24	1,44
		1 აგვისტო						
19.30	153	დომჟალე-ოლიმპია	2,7	3,2	2,2	1,46	1,21	1,3
19.30	154	პრიმორიე-ბელა კრაინა	1,4	4,0	5,6	1,03	1,12	2,33
19.30	155	ლიუბლიანა-ზაგორიე	1,7	3,4	3,8	1,13	1,17	1,79
22.00	156	მარიბორი-მურა	1,7	3,4	3,8	1,13	1,17	1,79
		პოლონეთი. I ლიგა. I ტური						
		31 ივლისი						
20.00	160	კატოვიცე-ლეხი	2,8	3,2	2,25	1,49	1,24	1,32
20.00	161	ოდრა-ამიკა	2,3	3,1	2,7	1,32	1,24	1,44
20.00	162	პლოცკი-გურნიკი	1,7	3,3	4,2	1,12	1,21	1,84
22.00	163	ვისლა-ლეჩნა	1,2	5,0	9,0	1	1,05	3,21
		1 აგვისტო						
21.00	164	პოგონი-ლეგია	3,8	3,3	1,75	1,76	1,19	1,14
		ბრაზილია. სერია A. XX ტური						
		31 ივლისი						
23.00	182	ატლეტიკო პრ-გრემიო	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
01.00	183	ფლუმინენსე-კრუზეირო	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
		1 აგვისტო						
23.00	184	კორინთიანსი-სან კაეტანო	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
23.00	185	კრიციუმა-პონტე პრეტა	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67
23.00	186	ფლამენგო-პალმეირასი	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
23.00	187	ატლეტიკო მნ-ფიგეირენსე	2,25	3,1	2,9	1,3	1,26	1,49
23.00	188	უუვენტუდი-ვასკუ და გამა	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
23.00	189	სანტოსი-პაისანდუ	1,3	4,2	8,0	1	1,11	2,75
24.00	190	ვიტორია-კურიტიბა	1,7	3,3	4,4	1,12	1,22	1,88
24.00	191	ვოიასი-პარანა	1,45	3,8	6,0	1,04	1,16	2,32
01.00	192	გუარანი-ბოტაფოგო	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
01.00	193	ინტერნასიონალი-სან პაულუ	1,9	3,3	3,4	1,2	1,21	1,67
		ჩილე. კლაუსურა. I ტური						
		31 ივლისი						
01.00	197	აუდაქსი-უნ.კატოლიკა	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
23.00	198	კობრელოა-უონდერერსი	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
23.30	203	პალესტინო-უნ.ესპანიოლა	2,9	3,2	2,2	1,52	1,25	1,3
		1 აგვისტო						
02.30	199	კობრესალი-კოკიმბო	2,7	3,2	2,3	1,46	1,24	1,33
23.30	200	კონსეპსიონი-ტემუკო	1,6	3,5	4,8	1,09	1,2	2,02
01.00	201	ევერტონი-პუერტო მონტი	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
24.00	202	სერენა-რეინჯერსი	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
23.30	204	სან ფელიპე-უაჩიპატო	2,7	3,2	2,3	1,46	1,24	1,33
24.00	205	უნ.ჩილე-კოლო კოლო	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
		შოტლანდია. ლიგის თასი. I ეტაპი						
		31 ივლისი						
18.00	212	ერდრი-ქუინი	2,3	3,4	2,5	1,37	1,19	1,44
18.00	213	ალოა-ელგინი	1,35	4,2	7,0	1,02	1,13	2,62
18.00	214	არბროთი-პიტერჰედი	2,15	3,4	2,8	1,31	1,21	1,53
18.00	215	ეარი-ფოლკირკი	3,2	3,5	1,9	1,67	1,19	1,23
18.00	216	დამბარტონი-სტირლინგი	1,75	3,4	3,8	1,15	1,19	1,79
18.00	217	ისტ ფაიფი-კოუდენბითი	1,9	3,5	3,2	1,23	1,19	1,67
18.00	218	ისტ სტირლინგი-ბერიკი	7,0	5,0	1,25	2,91	1,06	1
18.00	219	ფორფარი-მორტონი	2,8	3,5	2,1	1,55	1,19	1,31
18.00	220	გრეტნა-მონტროუზი	1,6	3,6	4,6	1,1	1,18	2,01
18.00	221	პარტიკი-ბრეჩინი	1,5	3,8	5,0	1,07	1,15	2,15
18.00	222	ქუინზ პარკი-სტენჰაუზმური	2,5	3,4	2,3	1,44	1,19	1,37
18.00	223	რეითი-ალბიონი	1,3	4,8	7,5	1,02	1,1	2,92
18.00	224	როსი.სტ.მირენი	2,0	3,4	3,1	1,25	1,21	1,62
18.00	225	სტ.ჯონსტონი-ჰამილტონი	1,6	3,6	4,6	1,1	1,18	2,01
		საფრანგეთი. სუპერ თასი						
		31 ივლისი						
22.45	231	ლიონი-პსჟ	2,6	2,9	2,6	1,37	1,3	1,37
		ამხანაგური მატჩები						
		31 ივლისი						
15.30	289	სპორტინგი-ფეიენოორდი	2,45	3,1	2,45	1,36	1,22	1,36
18.00	290	ნიუკასლი-რეინჯერსი	1,85	3,1	3,6	1,15	1,22	1,66
21.00	291	მანჩესტერი-მილანი	2,5	3,0	2,5	1,36	1,25	1,36

ეროვნული ბიბლიოთეკა

CROCO BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „აიტტრ გიერიძესთან" (ყოფილი „ფელისი")
	ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ლრმაღელესთან"
	ნერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრწინის ქუჩა №13	დიდი დილომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დილომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	ნერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ოვერიონის" შენობაში
	წმინდა ნინოს ქუჩა № 13	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	„ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 1	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №50	
ოზურგეთი	გაბრიელ ეპიკოპოსის ქუჩა №2	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

CROCO BOOKMAKERS
კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24
+%

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვერვალ დემავენდის ფერდობზე არიან (მარცხნიდან) შულამ რაჰიმი, ალიბა თავანი, ნასერ იოსელიანი და ალი რაჰიმი

ავთანდილ გურასაშვილის ფოტოები

ფატიმა ასლანიშვილი (წინა პლანზე) მწვერვალ შაჰინზე ლაშქრობისას

პირველად ძან მადლობი ვართ
ფერეიდნელ მთამსვლელებს სამშობლოს მთები უხმობს

ფერეიდნელი ქართველების თქმით, მთელს ირანში ორად-ორი მთამსვლელი ქალია და ორივე საუკუნეების წინათ სპარსეთს ძალით გადასახლებული ქართველთა შთამომავალი. მეტიც, მთელს მუსლიმურ სამყაროში იმ ორი ფერეიდნელი ქართველის გარდა სხვა მთამსვლელი ქალი არც მოიძებნება. ესენი არიან ფატიმა ასლანიშვილი და ალიბა თავანი, რომლებიც ორი წლის წინათ ელბრუსის მთებში აღმართულ ირანის უმაღლეს მწვერვალ დემავენდზე (5604 მ) ასულან (თავად ფერეიდნელი ქართველები მას დამავანდის მწვერვალად მოიხსენიებენ)

ფერეიდნელთა თქმით, იმ ლაშქრობაში 190 ირანელი მონაწილეობდა, მაგრამ მწვერვალს მხოლოდ ცხრამ მიაღწია. აქედან შვიდი ფერეიდნელი ქართველი იყო.

დემავენდზე ამსვლელ ფერეიდნელ ქართველებთან და სხვებთანაც შეხვედრის საშუალება, ეტყობა ამ შემოდგომაზე მოგვეცემა, როცა ისინი თბილისის მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტ შოთა მირიანაშვილის მოწვევით ჩამოვლენ.

ფერეიდნელ ქართველებს ჩვენთან ჩამოსვლის სურვილი მას შემდეგ გაუძლიერდათ, რაც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ირანს ეწვია და ფერეიდნელ ქართველებთან ზემო მარტყოფშიც ავიდა, რასაც იქაურები ფერეიდუნ შაჰრის უწოდებენ.

„საქართველოს პრეზიდენტთან ბატონ მიხეილ სააკაშვილთან აქ დიდი ხალხი მოვიდა მის ნახვისთვის. ძალიან გაეხარდა. მან თქვა თქვენ შეგიძლიან მოხიდეთ და საქართველოში ისწავლოთ" — იწერებიან ისინი.

საქართველოში ალპინისტური ლაშქრობის სურვილი გასჩენიათ მთამსვლელ ფერეიდნელ ქართველებს, რომლებმაც ამ მიზნით მიმოწერაც გააჩაღეს და შოთა მირიანაშვილისგან მოწვევაც მიიღეს, რამაც ისინი გაახარა. იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად შეინარჩუნეს საუკუნეების წინათ სამშობლოს მოწყვეტილებმა ქართული, გთავაზობთ ირანიდან გამოგზავნილ წერილს, რომელსაც ხელს აწერს ა. ონიკაშვილი (რაჰიმი), ვინც ფერეიდუნ შაჰრის მთამსვლელთა კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელია:

„ბატონო მირიანაშვილო

პირველად ძან მადლობი ვართ რომ თქვენ და თქვენი მთასლელ კლუბს პატარა საქართველოს (ფერედუნ შაჰრის) მთასლელად იჯერულობთ.

ჩონ ვფიქრობ იმიტომ რო ჩვენი და თქვენი გული და სული არის ერთად.

ჩვენ კლუბი არის ახალ გაზრდა თავის ნიშანიც არი ეს წერილი.

ჩვენ ძან გუხარიან ჩამოიდეთ საქართველოში და ვნახოთ საქართველოს ბუნება, ხალხი, კულტურა და სხვა და სხვა...

შეძლება რომ ჩემოიდეთ (10-12) მთას ყორველი მაგრამ ძალიან მთასლელნი არავართ. ჩონ იმედი გოქ რომ თქვენ კლუბთან ერთად შევეჭიდოთ ქართველების სიმბოლი მთას. ბოდუშიდ რომ ქართული განათლება (წერა კითხვა) კარგად არ ვიცი.

ა. ონიკაშვილი (რაჰიმი)"

— ამას გარდა, ფერეიდნელებმა ისიც მორიდებით შემოგვითვალეს ორი მთამსვლელი ქალი გვყავს და მათი ჩამოყვანა თუ შეიძლებაო — გვეუბნება შოთა მირიანაშვილი — აქ ჩამოსულებთან ერთად მყინვარწვერზე ავალთ. მათ შევახვედრებთ იმავე ყაზბეგის რაიონში მდებარე ხდის ხეობაში თბილისის უნივერსიტეტის ალპინიადის მონაწილეებს და ფერეიდნელთა სურვილის შემთხვევაში ერთობლივად ავალთ მწვერვალ ყუროზეც. რაღა თქმა უნდა, ჩვენს იქაურ დაძმებს ყაზბეგის მუზეუმსაც დავათვალიერებინებთ და თბილისის ღირსშესანიშნაობებსაც. კარგი იქნება თუ ფერეიდნელთა მისაღებად და სამასპინძლოდ სპონსორები და ქველმოქმედნი გამოგვეხმაურებიან.

ავთანდილ გურასაშვილი



3. 7. 2004

ბატონო მირიანაშვილო

პირველად ძან მადლობი ვართ რომ თქვენ და თქვენი მთასლელ კლუბს პატარა საქართველოს (ფერედუნ შაჰრის) მთასლელად იჯერულობთ.

ჩონ ვფიქრობ იმიტომ რო ჩვენი და თქვენი გული და სული არის ერთად.

ჩვენ კლუბი არის ახალ გაზრდა თავის ნიშანიც არი ეს წერილი

ჩვენ ძან გუხარიან ჩამოიდეთ საქართველოში და ვნახოთ საქართველოს ბუნება ხალხი, კულტურა და სხვა და სხვა....

შეძლება რომ ჩემოიდეთ (10–12) მთას ყორველი მაგრამ ძალიან მთასლელნი არავართ. ჩონ იმედი გოქ რომ თქვენ კლუბთან ერთად შევეჭიდოთ ქართველების სიმბოლი მთას. ბოდუშიდ რომ ქართული განათლება (წერა კითხვა) კარგად არ ვიცი.

ა. ონიკაშვილი (რაჰიმი)

შავი მტლის გამზიტი

სანახევარფინალო ოთხეული: სვიდლერი, ანანდი, კრამნიკი, ლეკო

დორტმუნდის სუპერტურნირი

გერმანია. დორტმუნდი. 22 ივლისი — 1 აგვისტო

პლეი ოფი

ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — პეტერ ლეკო (უნგრეთი) 0,5:0,5. ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) — პეტერ სვიდლერი (რუსეთი) 0,5:0,5

5-8 ადგილები

არკადი ნაიდიჩი (გერმანია) — სერგეი კარიაკინი (უკრაინა) 1:0. ვიორელ ბოლოგანი (მოლდოვა) — სერგეი რუბლიევსკი (რუსეთი) 0,5:0,5

მოჭადრაკეებმა ნახევარფინალი ყაიმებით დაიწყეს. კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი ვლადიმერ კრამნიკი ოთხსაათნახევარი ებრძოდა თანამემამულე პეტერ სვიდლერს, თუმც ვერ აჯობა და ყაიმს დასჯერდა. პარტია კრამნიკის უპირატესობით წარიმართა. მეტოქეებმა დებიუტში გრიუნფელდის დაცვა გაითამაშეს და თამაში კრამნიკის კარნახით გაგრძელდა. იგი მოსვენებას არ აძლევდა სვიდლერის დაცვას, პეტერიც შეტევისთვის აღარ ხარჯავდა ძალებს და ყურადღება დაცვაზე გადაიტანა, თუმც 34-ე სვლაზე კონტრიერიშისთვის მაინც გამონახა მომენტი. სვიდლერის ეტლი კრამნიკის სამფლობელოში შეიჭრა, თეთრების ხელმწიფეს რამდენჯერმე დაემუქრა, საბოლოოდ კი სვლები გაამეორებინა და 45-ე სვლაზე ზავსაც გამოჰკრა ხელი.

მსოფლიოს ჩემპიონი სწრაფ ჭადრაკში ვიშვანათან ანანდი კი პეტერ ლეკოს გაცილებით ადრე, მე-18 სვლაზე დაუზავდა. მთელი თამაშის მანძილზე მოჭადრაკეებს ხეირიანი არაფერი გაუკეთებიათ და მალევე არჩიეს დაშორება.

მეხუთე-მერვე ადგილისთვის ბრძოლაში აქტიურად ჩაება მასპინძელი არკადი ნაიდიჩი. საერთოდ კი პლეი ოფში გამართული ოთხი მატჩიდან მოგება მხოლოდ 18 წლის მასპინძელმა არკადი ნაიდიჩმა აღნიშნა, მან ოთხი წლით უმცროს სერგეი კარიაკინს 53-ე სვლაზე დააყრევინა ფარ-ხმალი.

ლაშა გეგეჭკორი

აქ მეტი ჯიგარია

საზაფხულო ლიგას ბაირონიც ეტრფის



ამერიკის საზაფხულო ლიგებში ოფლს ძირითადად ახალბედები და ის კალათბურთელები ღვრიან, რომლებსაც კონტრაქტი ამოეწურათ და თუ გუნდებს თავი არ შეახსენეს, არავინ დაუძახებს, მოდი, გენაცვალე, ჩვენთან ითამაშეო. მაგრამ არიან გამონაკლისებიც და შუა ზაფხულში გახურებულ კემპზე შესაძლოა, ისეთ მოთამაშეს წააწყდე, ნებისმიერი გუნდი ათეულობით მილიონს რომ არ დაიშურებს. ბაირონ დევისი სუპერვარსკვლავია და მთელ ლიგაში ბარე ორი გამთამაშებელი თუ გამოეკიდება, თუმც დევისი თავისებური კაცი გამოდგა და ამერიკაში გაშლილ საზაფხულო ლიგებიდან ერთ-ერთში მიუღია მონაწილეობა. ჟურნალისტებსაც იქვე „გაუბაწრავთ“...

— რა გრჯით, საზაფხულო ლიგაში რომ შემოიარეთ?

— ეს კარგი საშუალებაა ფორმის შესანარჩუნებლად. თან საზაფხულო ლიგა ახალი სათამაშო ილეთების გამოცდასა და დახვეწაში მეხმარება. აქ თამაში ჩემთვის სიამოვნებაა.

— რას იტყვით ამ შეჯიბრის დონეზე?

— ძალიან მაღალი დონეა. აქ ბიჭები მთელი გულით და ჯიგრით თამაშობენ და თითოეული ქულისთვის დიდი ბრძოლაა საჭირო. ეგებ ვიღაცამ იფიქროს, რომ ეს ბავშვების და უიღბლოების შეჯიბრია, მაგრამ მწარედ შეცდება.

— და თქვენ რას ფიქრობთ?

— აქ უმეტესობა ლუკმაპურის საშოვნელადაა მოსული. ეს მართლაც ასეა, ხალხი კონტრაქტს, ანუ სამუშაოს ეძებს და აქ შანსი დიდია, რადგან საზაფხულო ლიგებს ბევრი მწვრთნელი, გენერალური მენეჯერი და აგენტი ესწრება. თუ ვინმეს არ გაუმართლა და მაინცდამაინც ნბა-ში ვერ მოხვდა, აქ არიან ამერიკის სხვა საკალათბურთო ლიგების წარმომადგენლებიც.

— თქვენს წინააღმეგ გაორმაგებული მონდომებით თამაშობდნენ ბიჭები. ეს იმის ბრალია, რომ ნბა-ს ვარსკვლავი ხართ?

— დიახ, მეც ასე ვფიქრობ. ისინი ცდილობდნენ, ეჩვენებინათ, რომ მათაც შეუძლიათ თამაში და რომ ისინი არ არიან დაბალი დონის კალათბურთელები. ასეთი ქცევა ხანდახან უხეშობაში გადადის, მაგრამ მაინც დადებითი მოვლენაა — ახალგაზრდას სისხლი უდუღს და ვერ დააკავებ.

— რაც ამ ლიგაზე უკონტრაქტო მოთამაშეები ნახეთ, ვინმე თუ დაიმსახურებს ადგილს ნბა-ს რომელიმე გუნდში?

— დარწმუნებული ვარ, რომ დაიმსახურებენ. ყოველ წელს ასე ხდება. თუნდაც დერიკ მარტინი ავიღოთ — შარშან მან თავისუფალ აგენტთა გუნდში ითამაშა საზაფხულო ლიგაზე და ისეთი მოწონება დაიმსახურა, „მინესოტამ“ პლეი ოფშიც კი დაიხმარა.

— ესე იგი, შანსი ყველას აქვს?

— რა თქმა უნდა. აგერ, „ლეიკერსის“ გენერალური მენეჯერი მიჩ კუჩაკი ზის ტრიბუნაზე, არადა, მისი გუნდი დღეს არ თამაშობს. ხომ ხედებით, ეს რასაც ნიშნავს?

— იმით ხომ არ წუხდებით, უამრავი ბავშვი რომ ავტოგრაფს გთხოვთ?

— არა, ეს ხომ ერთადერთი შანსია მათთვის. ავტოგრაფის მთხოვნელები ნბა-ს თამაშებზეც მხვდებიან, მაგრამ იქ დაცვის სამსახური შეუვალია, აქ კი არავინაა ხელის შემშლელი.

— თქვენ აქ ისე გრძნობთ თავს, როგორც თევზი წყალში. თუნდაც დღევანდელ მატჩში 37-ჯერ ისროლეთ ბურთი...

— 37-ჯერ? მართლა? ვერც ვიგრძენი. აქაც და ნბა-ს მოედნებზეც მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობ. მე უბრალოდ გავაკეთე ის, რაც საჭირო იყო გამარჯვებისთვის.

— რა განსხვავებაა ნბა-სა და საზაფხულო ლიგის მატჩებს შორის?

— სისწრაფე აქ უფრო მეტია, ვიდრე ნბა-ს თამაშებში. ბიჭები მშივრები არიან და ჭამა უნდათ. ისინი რაკეტებივით დაჰქრიან, დახტიან, მაქსიმუმს გასცემენ. ნბა ხანგრძლივი ტურნირია, აქ კი ჰა, ჰა, 2 კვირა მოგიწიოს თამაშმა, ამიტომაც აქ შეცოდება არ არსებობს, ბრძოლა ბოლომდეა და შეუპოვარი.

კარგი ხარ, მაგრამ ჩვენ არ გვაინტერესებ

ნიუ ჯერსიმ ტიტლზი მარტინის გზას გაუყენა



„ნიუ ჯერსი ნეთსი“ ეტყობა, რაღაცა დიდს უმიზნებს — უკვე მეორე ლიდერს შეელია „გროშების“ სანაცვლოდ. გუშინწინ „ბადეებმა“ კერი კიტლზი „ლოს ანჯელეს კლიპერსში“ გაუშვეს და მის ნაცვლად მომავალი წლის დრაფტზე მეორე რაუნდში არჩევნის უფლება მიიღეს.

ორი კვირის წინ „ნიუ ჯერსიმ“ მრისხანე კენიონ მარტინი „დენვერში“ გაცვალა, ასე რომ, კიტლზის წასვლის შემდეგ სახელფასო ფონდში ბლომად მილიონები გამოუთავისუფლდა. კონტრაქტის თანახმად, კიტლზს კიდევ ერთი წელი უნდა ეთამაშა „ნეთსში“ და სანაცვლოდ 10 მილიონი აეღო. ახლა კი ამ თანხის გადახდა „კლიპერსს“ მოუწევს, რომელმაც ფინანსური სიდუხჭირის გამო უკვე გული აიცრუა გუნდის ერთ-ერთ ლიდერ კვენტინ რიჩარდსონზე, ხანგრძლივ და მრავალმილიონიან კონტრაქტს არ გავუფორმებო. ამით ისარგებლა „ფინიქსმა“ და რიჩარდსონს მყისვე შესთავაზა სარფიანი ხელშეკრულება, თუმც მისი „კლიპერსიდან“ წასვლა ჯერაც სათუოა.

„კიტლზი თავიდანვე პროფესიონალიზმის განსახიერება იყო — ამბობს „ნიუ ჯერსის“ გენერალური მენეჯერი როდ თორნი — მან დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი გუნდის ბოლოდროინდელ წარმატებებში. კერის აქვს რეაქტიული სისწრაფე, კარგად ესვრის და დაცვის დიდოსტატიცაა.“

თუ მართლაც ასეა, გუდიდან რაღას უშვებთო, იბადება ბუნებრივი კითხვა, მაგრამ... კიტლზი მართლაც დიდი ძალა იყო „ნიუ ჯერსისთვის“. 1996 წელს რომ დრაფტზე აირჩიეს, მას შემდეგ მუდმივად „ბადეების“ ხუთეულშია. ისაა „ნიუ ჯერსის“ ყველა დროის საუკეთესო მეექვსე (7096) და ასევე პირველობს ნასროლი სამქულიანების ოდენობაში (679).

„კერი მოედნის ორივე ბოლოში კარგად ირჯება, მას უბადლო სათამაშო ალღო აქვს — ტრანსფერით კმაყოფილია „კლიპერსის“ ვიცეპრეზიდენტი ელინ ბეილორი — ის გამოცდილია და ჩვენს პლეი ოფს დანატრებულ გუნდს დიდ დახმარებას გაუწევს.“

ირაკლი პერტაია

ATHENS 2004

13 იმედი

ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ყაზახეთის 117 სპორტსმენი იასპარეზებს. მათ შორის იქნებიან ტყვიის მსროლელები, მხატვრულად ტანმოვარჯიშენი, მოცურავეები, ველოსიპედისტები, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის წარმომადგენლები, მოკრივეები, მძლეოსნები და ტრიატლონის ოსტატები. ამას გარდა, ათენში იასპარეზებენ ყაზახეთის ქალთა და ვაჟთა წყალბურთელთა გუნდები.

ყაზახეთის ტურიზმისა და სპორტის საგენტოს თავმჯდომარე დაულეტ ტურლიხანოვის აზრით, ამ ქვეყნის სპორტსმენები 12-13 მედლის მოპოვებას შესძლებენ. გამარჯვებულნი და მათი მწვრთნელები პრემიად 100-100 ათას დოლარს მიიღებენ. ვერცხლის პრიზიორები 50-50, ხოლო მესამე ადგილზე გასულები 30-30 ათასი დოლარით დაჯილდოვდებიან.

პრემიებით აღინიშნება აგრეთვე მეოთხე, მეხუთე, მეექვსე ადგილებზე გასული სპორტსმენების გარჯა, რომლებიც 10, 5 და 3 ათასი დოლარით დაჯილდოვდებიან.

ყაზახეთის სპორტსმენები დამოუკიდებელი ქვეყნის სახელით მესამედ მონაწილეობენ ოლიმპიურ თამაშებში. ათენსა და სიდნეიში ყაზახმა სპორტსმენებმა სამ-სამი უმაღლესი ხარისხის მედალი მოიპოვეს.

კანადის დროშის ქვეშ

კანადის ოლიმპიური ნაკრები ოლიმპიადაზე 266 სპორტსმენით იასპარეზებს. თამაშების საზეიმო გახსნის ცერემონიალზე მათ მედროშედ წარუძღვება კანადის ათგზის ჩემპიონი ძიუდოში ნიკოლ ჟილი. მისთვის ათენის ოლიმპიური თამაშები მეოთხე იქნება. ბარსელონაში და სიდნეიში მან შესაბამისად ბრინჯაოსა და ვერცხლის მედლები მოიპოვა.

„ჩემთვის დიდი მოულოდნელობა იყო. ეს, რა თქმა უნდა, დიდი პატივია და იმავე დროს პასუხისმგებლობა“ — თქვა ჟილმა, რომელიც ახლა 100 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გამოდის და ბელგიაში გამართულ შეკრებაზე საოლიმპიადოდ ემზადება.

ვისაც არ ეზარება, ყველა იფიცება

ათენში ამ გაზაფხულიდან მოყოლებული ოლიმპიური ბაზებისა და გზების მშენებლების გაფიცვები არ წყდება. აქციებში მონაწილეობენ სასტუმროების, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და პოლიციის წარმომადგენლები. ისინი მოითხოვენ ოლიმპიადის დღეებში ხელფასების გაზრდას, ახლა კი ოლიმპიადას მძღოლები და სასწრაფო დახმარების სამსახურის თანამშრომლებიც ემუქრებიან. მათაც იგივე მოთხოვნები აქვთ. სასწრაფო დახმარების შეფის ილიას იოანიდისის თქმით, საოლიმპიადო სამზადისი 2600-მა მედიკოსმა გაიარა და მზად არიან ზედიზედ ორ ცვლაში იმუშაონ, ოღონდ იმავდროულად ისინი შრომის ანაზღაურების გაზრდას მოითხოვენ.

ანალოგიური მოთხოვნებით სამსაათიანი გამაფრთხილებელი გაფიცვები მოაწყვეს მთავარი ოლიმპიური სტადიონისა და სხვა სპორტული ბაზების თანამშრომლებმაც. აგრეთვე ათენისა და პირეის ჰოსპიტლების წარმომადგენლებმაც.

საბერძნეთის მთავრობა უმძიმეს მდგომარეობაშია. ოლიმპიადამ სერიოზული დარტყმა მიაყენა ქვეყნის ბიუჯეტს, მშრომელთა მოთხოვნები კი ხელისუფლებას აიძულებს დათმობაზე წავიდეს.

გაითვალეთ და წვიმას გაყევით

განთესილები ამოიძირკვნენ

მასტერსის სერია
ტორონტო. ჰარდი
საპრიზო 2,564 მილიონი $

მეორე წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) 7:5, 6:1; **ენდი როდიკი** (2, აშშ) — **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) 6:3, 7:6 (7:5); **კარლოს მოია** (4, ესპანეთი) — **ალექს ბოგომოლოვი** (აშშ) 6:4, 6:3; **გუსტავო კუერტენი** (ბრაზილია) — **ტიმ ჰენმანი** (5, ბრიტანეთი) 7:5, 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი** (9, ავსტრალია) — **ირჟი ნოვაკი** (ჩეხეთი) 6:2, 6:1; **იურგენ მელცერი** (ავსტრია) — **ანდრე აგასი** (10, აშშ) 6:3, 6:3; **მაქს მირნი** (ბელარუსი) — **პარადორნ შრიჩაფანი** (14, ტაილანდი) 3:6, 6:1, 6:4; **ხუან იგნასიო ჩელა** (16, არგენტინა) — **ტომი რობრედო** (ესპანეთი) 6:4, 6:0; **ნიკოლას კიფერი** (გერმანია) — **დავიდ ფერერი** (ესპანეთი) 6:3, 6:1; **იან ჰერნიხი** (ჩეხეთი) — **ტოდ რიდი** (ავსტრალია) 6:3, 6:3; **იოახიმ იოჰანსონი** (შვედეთი) — **გრეგორი კარა** (საფრანგეთი) 7:6 (7:4), 6:7 (3:7), 7:6 (7:4); **ტომას იოჰანსონი** (შვედეთი) — **იგორ ანდრეევი** (რუსეთი) 7:5, 6:1; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — **ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია) 6:4, 7:6 (7:4); **ფერნანდო გონსალესი** (ჩილე) — **ვინს სპადია** (აშშ) 7:5, 6:4; **ლუის ორნა** (პერუ) — **ფრედერიკ ნიმეიერი** (კანადა) 6:7 (5:7), 7:5, 6:3; **სირილ სოლნიე** (საფრანგეთი) — **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) 4:6, 6:3, 7:6 (7:0)

მესამე წრე

ფედერერი — **მირნი** 7:6 (7:3), 7:6 (7:4); **როდიკი** — **ჩელა** 6:1, 6:4; **კიფერი** — **მოია** 6:4, 2:6, 6:4; **სანტორო** — **ჰიუიტი** 2:6, 6:3, 6:4; **ჰერნიხი** — **კუერტენი** 5:7, 7:6 (8:6), 6:4; **ი. იოჰანსონი** (შვედეთი) — **სოლნიე** 7:6 (7:2), 4:6, 7:6 (7:4); **ტ. იოჰანსონი** — **ორნა** 3:6, 7:5, 6:1; **მელცერი** — **გონსალესი** 6:3, 6:3

მოვლენები ისე განვითარდა, რომ ტორონტოულ მეოთხედფინალს მხოლოდ ორი განთესილიდა შემორჩა. ამათ სხვაზე მეტი მოტივაცია ჰქონდათ, რაკიღა ერთი ამქრის პირველოსანია, ხოლო მეორე — შარშანდელი ჩემპიონი. იმ დღეს მიღწეულ სხვა ნომრიანთაგან კი ორმა საჭურველი დღის პირველსავე ნახევარში დააშალითა, ორიც კი საღამოსკენ აოტეს.

ხოლო ახლა ეს უსაკუთარსახელებო აბზაცი კონკრეტული გვარსახელებით რომ შევავსოთ, აი, ეგეთი ამბავი გამოგვივა:

დავიწყოთ იქიდან, რომ მეჩოგნეებს სამეორ და სამესამწრეო მატჩების გამართვა ერთ დღეს მოუხდათ. მიზეზი ალბათ გეხსომებათ — წვიმის გამო ტურნირზე მთელი სამშაბათი გაცდა და ორგანიზატორებსაც განრიგის დასაწევად სხვა არაფერი დარჩენოდათ.

ტურნირის სამგზის ჩემპიონი, 34 წლის ანდრე აგასი მეორე მატჩში ძლეულიყო, მარცხის ასახსნელად უთუოდ დაღლილობას მოიმიზეზებდა, მაგრამ საქმეც ეგ არის, რომ შებერებულმა არმენოამერიკელმა უკვე სამეორწრეო შეხვედრაშივე დათმო.

შტეფი გრაფის თანამეცხედრე სრულიად უპრობლემოდ გააიმასქნა ავსტრიელმა იურგენ მელცერმა. მელცერს მერე იმავე ანგარიშით არც ფერნანდო გონსალესის დამორჩილება და თავის მეორე საამსეზონო მასტერსმეოთხედფინალში გასვლა გასჭირვებია. ჰოდა, რა გასაკვირია, თუკი მერე ამბობდა, ეს ჩემი ცხოვრების საუკეთესო დღეაო. ცნობისთვის: წლეულს ის 17 მარცხის წილ 19 გამარჯვებას მოიძევს.

განთესილთაგან აგასის გარდა დღის პირველ ნახევარში ტიმ ჰენმანიც დაიჩოგნა. ბრიტანელს ტურნირის ოდინდელმა ფინალისტმა გუსტავო კუერტენმა აჯობა, ვინაც თავის მხრივ მერე 25 წლის ჩეხ კვალიფიკანტს, პირველ წრეში ირაკლი ლაბაძის მძლეველ იან ჰერნიხს შემოემარცხა.

დღის მეორე ნახევარში განთესილთა რაზმი უკვე კარლოს მოიამა და ლეიტონ ჰიუიტმაც დატოვეს. მიუხედავად იმისა, რომ დილით ორივემ ძალზედ იოლად იმარჯვა (რაზეც ანგარიშებიც მეტყველებს), მოგვიანებით მათ მაინც უსიამო მოულოდნელობანი ელოდათ. თუმცა ნიკოლას კიფერისგან ძლევა, ვინაც წლეულს უკვე ოთხ ამერიკულ (და ესე იგი — სამაგარსაფრო) ფინალში ითამაშა, კარლოს მოიას ეგებ იმდენად არ უნდა სწყენოდა, რამდენადაც ლეიტონ ჰიუიტს — ვეტერან ფრანგ ფაბრის სანტორონგან გალახვა. სანტორო ხომ წლეულს ერთობ მოკრძალებულად ირჯებოდა და ამ ტურნირამდე ერთ ქეციან მეოთხედფინალშიც ვერ გასულიყო.

ახლა ამქრის პირველოსანსა და შარშანდელ ჩემპიონზეც როგორც მთ რანგსა და ამჟამინდელ ყუმბარფორმას ეკადრებოდა, როჯერ ფედერერმა და ენდი როდიკმა თავიანთი წილი პრობლემები სეტისწაუგებლად მოიგვარეს. ოღონდ ისიც სათქმელია, რომ როდიკს ლოპესისა და ჩელას გავლა უფრო ეადვილა, ვიდრე ფედერერს — ზორბა შვედჭაბუკ სოდერლინგისა და კიდევ უფრო ზორბა ბელარუს მაქს მირნისა.

ამ ორმა გამარჯვებამ ფედერერის საამსეზონო მონაგარი (ოთხი მარცხის წილ) უკვე 54 მოგებამდე აიყვანა. გარდა ამისა, ის უკვე ზედიზედ ოცი შეხვედრაა, აღარ დამარცხებულა. თუკი როჯერი კიდევ ოთხ მატჩსაც გაძლებს, პიტ სამპრასის მიერ 1999 წელს „გადაბმულ" 24-მოგებიან სერიასაც გაიმეორებს. სხვაფრივ იმასაც შეგახსენებთ, რომ ის თავის მერვე საამსეზონო ტიტულზე ნადირობს.

ყველაზე მეტი ოფლი და მეტი ეისი კი იმ დღეს მძლავრად მოგლაჯუნე შვედმა იოახიმ იოჰანსონმა დახარჯა. მან კორტზე ჯამში ოთხი საათი და 21 წუთი დაჰყო და გრეგორი კარას რომ სამტაიბრეიკიანი მატჩისას 30 აუღებელი მოწოდება გადაუჭირა, კარას თვისტომ სოლნიესთან ასევე სამსეტიან, ოღონდ ორტაიბრეიკიან შეხლაში 22-ჯერ ჩააეისა. მოგაგონებთ, რომ ეს 22 წლისა და კორტის დონიდან 1,98 მეტრის ამთვლელი შვედი ყმაწვილი ჩვენი კლავიატურის არეში მას შემდეგ მოექცა, რაც რომ წლევანდელ შემფისობაზე კარიერის პირველი ტიტული მოიღვაწა.



REUTERS ტორონტოდან

ანდრე აგასი ტორონტოდან ვინმე იურგენ მელცერმა გამოისტუმრა

ACURA CLASSIC
სან დიეგო. ჰარდი
საპრიზო 1,3 მილიონი $

მესამე წრე

სერენა უილიამსი (1, აშშ) — **ელენა ბოვინა** (რუსეთი) 6:4, 6:2; **ანასტასია მისკინა** (3, რუსეთი) — **ჩანდა რუბინი** (აშშ) 6:1, 6:2; **ლინდსი დევენპორტი** (4, აშშ) — **კონჩიტა მარტინესი** (ესპანეთი) 6:1, 6:2; **ელენა დემენტიევა** (5, რუსეთი) — **ელენა ლიხოვცევა** (რუსეთი) 6:2, 7:6 (7:2); **მარია შარაპოვა** (6, რუსეთი) — **ხისელა დულკო** (არგენტინა) 6:0, 6:1; **ვერა ზვონარიოვა** (12, რუსეთი) — **სვეტლანა კუზნეცოვა** (7, რუსეთი) 6:2, 6:3; **აი სუგიამა** (9, იაპონია) — **მარიონ ბარტოლი** (საფრანგეთი) 6:3, 6:2; **ემი ფრეზერი** (აშშ) — **ალიშა მოლიკი** (ავსტრალია) 6:3, 6:4

ბოლო დროს „სასიამოვნო" ტრადიციად გვექცა ის ამბავი, რომ რუსი გოგონები მეოთხედფინალებში ოთხეულად შელაგდებიან ხოლმე. ასე მოხდა სან დიეგოშიც, სადაც უიმბლდონის 17 წლის დედოფალ მაშა შარაპოვას მხარი ანასტასია მისკინამ (3), ელენა დემენტიევამ (5) და ვერა ზვონარიოვამაც (12) აუბეს. თან გაითვალისწინეთ, რომ დემენტიევას ლიხოვცევას, ხოლო ზვონარიოვას კუზნეცოვას მიბერტყვა მოუხდათ. უკანასკნელ რვეულში დაბინავებას ლამობდა ელენა ბოვინაც, თუმცა მის წინაშე გადაულახავ დაბრკოლებად აღიმართა ამქრის ბაბაჭუა სერენა უილიამსი.

გაივაკა ლინდსი დევენპორტმაც, ვის ანგარიშზეც ბოლო სამი კვირის განმავლობაში უკვე ორი კალიფორნიული ტიტული და ზედიზედ მოგებული თერთმეტი მატჩია. იმ დღეს მან უიმბლდონის ჩემპიონყოფილ კონჩიტა მარტინესს აჯობა. ვეტერანი ესპანელი სან დიეგოს მკვიდრია, აკურა კლასიკზე უკვე მეთოთხმეტედ გამოდიოდა და, ეგებ თქვენც გახსოვდეთ, იქ 1995 წელს უჩემპიონია კიდეც. მაგრამ ამ ჯერზე მან ლინდსის ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია და სულ რაღაც 46 წუთში დანებდა.

ლევან კელაურაძე

REUTERS ტორონტოდან

როჯერ ფედერერი განუთესავებს გადაურჩა

ქართული სპორტის ფოტო ისტორია

ასე ჰქვია საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ახალ პროექტს, რომელიც ხორციელდება თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის მხარდაჭერით.

შეირჩევა, დამუშავდება, აღიწერება და ვებსაიტზე განთავსდება 5 ათასზე მეტი ისტორიული და მხატვრული ღირებულების ფოტო.

სათანამშრომლოდ ვიწვევთ ფოტორეპორტიორებს, კერძო კოლექციის მფლობელებს, ძველი და ახალი თაობის სპორტსმენებს, მწვრთნელებს, სპორტის გულშემატკივრებს.

გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენს ხელთ არსებული ფოტომასალა და მონაწილეობა მიიღოთ ქართული სპორტის ასწლოვანი ისტორიის ფოტოარქივის შექმნაში.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია.
თბილისი, რუსთაველის 42, ტელეფონები: 99 08 22, 99 94 09, 899 90 26 32.





REUTERS ლუისვილიდან

ერომანული ბიბლიოთეკა

დავბრკვიანდი! ამბობს მაიკ ტაისონი და ბრიტანელი დენი უილიამსის ცემას აპირებს

მე კრივის ედმონდ დანტესი ვარ! მაიკ ტაისონი დაბრძენებულა

ახლა, როცა ამ სტრიქონებს კითხულობთ, ეგებ ამ დილით ამერიკულ ლუისვილში გამართული დიდი ჩხუბის შედეგიც იცოდეთ და სულაც ნანახიც გქონდეთ. ყაციჭამია მოკრივე მაიკ ტაისონი წელიწადნახევრიანი უქმობის შემდეგ რინგს დაუბრუნდა და თავისზე ახმახ ბრიტანელ დენი უილიამსს დაუპირისპირდა. ერთ დროს „რკინის მაიკად" წოდებული მოკრივის შანსებს სპეციალისტთა უმეტესობა გუშინდლამდე სკეპტიკურად უყურებდა. ამბობდნენ, ამერიკელს განსაკუთრებით მეოთხე რაუნდის მერე გაუჭირდება, ამიტომ თუ გამარჯვებას აპირებს, საწყის რაუნდებშივე ნოკაუტზე უნდა იფიქროსო

ტაისონის ფიქრები გაცილებით შორს მიდის, ვიდრე კრივი. 38 წლის კაცმა კედელზე ჩამოკიდებული ხელთათმანი ვალების გასასტუმრებლად ჩამოხსნა. ვალები კი იცოცხლეთ, ბლომად დაჰგროვებია. მუშტების ქნევით ყველაზე მეტის, 300 მილიონი დოლარის მომხვეჭმა იმდენი ქნა, ისიც მიანიავა და ზედ ზედმეტი 38 მილიონიც დააყოლა. ეს ის ფულია, წვრილ-მსხვილი კრედიტორებისა და ყოფილი ცოლის მონიკას ჯიბეები რომ უნდა შეასქელოს.

„სანამ ფული მქონდა, არაფერს ვიკლებდი, უკანმოუხედავად ვხარჯავდი — აშკარად დასერიოზულებულა მაიკი და ნანობს — ახლა კი აღარაფერი მაქვს. 38 წელი მიცხოვრია და ამ დროსთან შედარებით გვარიანი გამოცდილებაც შევიძინე. ამ გამოცდილებას მთელი მსოფლიოს ფულიც ვერ გადაწონის. თვალწარმტაცი ვილებისა და მანქანების ყიდვა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ფულის ფასი იცი. ცხადია, ძვირი სიამოვნება კარგია, მაგრამ ცოტა ჭკუაც უნდა დაატანო. ახლა მთავარია, ჭაობიდან ამოვძვრე და თუ ეს შევძელი, აღარასოდეს აღარავის მივენდობი. ადრე გარშემომყოფთ უფრო ვუჯერებდი, ვიდრე საკუთარ თავს. ეს ნიშნავს, რომ პასუხისმგებლობის გძნობასთან ცოტა მწყრალად ვიყავი."

გაგიკვირდებათ და ამ გულისამაჩუყებელი სიტყვების ავტორი კაცის ძვლებისმკვნეტელი მაიკ ტაისონია. 38 წლის ასაკში დაბრძენებული კაცი, რომელიც დღევანდელ ჯახზე მეტად ცხოველურად ცხოვრების წლებს დაუსევდიანებია, კაცი, რომელიც საკუთარი გულის სიღრმეში ახლაღა იხედება.

ჰოლიფილდის ყურის მომკვნეტს ბოლო დროს ცხოვრების სტილიც შეუცვლია. მარქსი, ტოლსტოი, მაო ძე დუნი, დოსტოევსკი, ჰომეროსი და დიუმა — ეს ის ბუმბერაზი კლასიკოსებია, ტაისონმა უფულობის დღეებში რომ გადაიკითხა და, თუ დაიჯერებთ, თურმე ცდილობს, ყველა გმირისგან საუკეთესო გადმოიღოს. „მე კრივის ედმონ დანტესი ვარ!" — ამბობს ის.

უილიამსის დანოკაუტებით მიღებული თანხა რომ „ჭაობიდან" ამოსასვლელად არ ეყოფა, მაიკმა მშვენივრად იცის, მაგრამ საკუთარ ძალაში კი დარწმუნებულია და ამ და სხვა მომავალ ბრძოლებშიც 38 მილიონზე მეტის დაგროვება გადაუწყვეტია. „38 წლის კი ვარ და დღევანდელ ჩემპიონებსაც 3-4 წლით ვუსწრებ, მაგრამ ასაკმა არ შეგაშინოთ. მით უმეტეს, წლოვანებას თვითონ მე არ ვაქცევ ყურადღებას. მშვენიერ ფიზიკურ ფორმაში ვარ და გამარჯვების გემოც მომენატრა" — ეს უკვე ტაისონის წინასაუილიამსო პრესკონფერენციაზე ნათქვამია.

ჟურნალისტებს ბრიტანელიც გაესაუბრა და როგორც წესია, მრისხანე მეტოქესაც დაემუქრა. მთავარ ამოცანად სპეციალისტთა დარად საწყის რაუნდებში დამაჯერებელი ბრძოლა დაასახელა. მეოთხე რაუნდიდან კი უკვე ჩემი ლუკმა გახდებაო — დააყოლა.

აწონვაზე ტაისონის სასწორმა 106 კილო აჩვენა, უილიამსისამ კი 120-ზე ცოტა მეტი. ბროლაზე დასასწრები ბილეთები ხომ უცებ დაიტაცა ლუისვილის პუბლიკამ. ჩვეულებრივ ადგილებზე დაჯდობა 50-დან 700 დოლარამდე ღირდა. ვიპ-ადგილების ფასი კი სულაც 1 500 დოლარს აღწევდა.

ოთარ მაღლაკელიძე

რაბბი

31 ივლისი. პერთი „სუბიაკო ოვალი"

ავსტრალია — სამხრეთ აფრიკა

ავსტრალია: 15 კრის ლეითემი, 14 კლაიდ რეთბოუმი, 13 სტირლინგ მორტლოკი, 12 მეტ ტიტუ, 11 ლოუთ ტუკირი; 10 სტივენ ლარქემი, 9 ჯორჯ გრეგანი (კაპ); 8 დევიდ ლაიონზი, 7 ფილ ვუ, 6 ჯორჯ სმიტი, 5 ნათან შარპი, 4 ჯასტინ ჰარისონი, 3 ალ ბაქსტერი, 2 ჯერემი პოლი, 1 ბილ იანგი

სათადარიგოები: 16 ადამ ფრეიერი, 17 მეტ დანინგი, 18 დევიდ ვიკერმანი, 19 ჯონ რო, 20 კრის ვაიტეკერი, 21 მეტიუ ბერკი, 22 ვენდელ სეილორი

სამხრეთ აფრიკა: 15 პერსი მონტგომერი, 14 ბრეიტონ პოლსი, 13 მარიუს ჟუბერი, 12 დე ვეტ ბერი, 11 იან დე ვილერსი; 10 იაკო ფან დერ ვესტჰოიზენი, 9 ფური დუ პრეეცი; 8 ფაკ კრონხე, 7 ეიჯეი ვენტერი, 6 შალკ ბურგერი, 5 გერი ბრიცი, 4 ბაკიზ ბოთა, 3 ედი ენდრიუსი, 2 ჯონ სმიტი (კაპ), 1 ოზ დუ რანტი

სათადარიგოები: 16 ჰანიანი შიმანგე, 17 სიჯეი ფან დერ ლინდე, 18 ალბერტ ფან დერ ბერგი, 19 ჯო ფან ნიკერკი, 20 ბოლა კონრადი, 21 ხაფი დიუ ტუა, 22 ბრენტ რასელი

ოზებს კაპიტანი ჯორჯ გრეგანი დაუბრუნდათ

ბორჯღალის ნაკვალევზე სამხრეთ აფრიკა გაფრენას გვპირდება

კიდევ ერთი შაბათი და კიდევ ერთი დიდი სარაგბო მატჩი. დღეს ავსტრალია დასავლეთ სანაპიროს საპორტო ქალაქ პერთში, „სუბიაკო ოვალზე" სამხრეთ აფრიკას მასპინძლობს. ეს სტადიონი ქართველებსაც გვახსოვს 2003 წლის მსოფლიოს თასზე ბორჯღალოსნებმა აქ ორი მატჩი გამართეს — მომავალ ჩემპიონ ინგლისთან და სამოასთან.

საზოგადოდ ავსტრალიელები იშვიათად თამაშობენ პერთში. დასავლეთ ავსტრალია არც ითვლება ქვეყნის სარაგბო ცენტრად. ოზებს სამხრეთ აფრიკა იქ ბოლოს 1998 წელს მოეღიათ და 13:14 დამარცხებულან და, შეიძლება ითქვას, სიტუაცია საკმაოდ მომწიფდა ისტორიის გასამეორებლად. სამხრეთ აფრიკამ წინა შაბათს ახალ ზელანდიაში შემთხვევით წააგო სამი ერის მესამე და ყველაზე ძლიერ წარმომადგენელ „შავებთან", ბოლო წუთებზე დასანანი ლელო გაუშვა მასპინძლებისგან და სამხრეთულ გიგანტთა ტურნირის მოგების შანსებიც შეიკვეცა. მაგრამ არავინ დავობს, რომ აფრიკელი „ქურციკები" უკვე აღარ ჩამოუვარდებიან არც მაორებს და არც ოზებს და მათი სტუმრად გამარჯვებაც არავისთვის იქნება მოულოდნელი.

„ქურციკათა" ახალი და ჯერჯერობით არაფრის გამფუჭებელი მწვრთნელის ჯეკ ვაითის განკარგულებაშია მსოფლიოში ერთ-ერთი უძლავრესი შერკინება და თუ აფრიკელებმა გაცილებით მობილურ ავსტრალიელებს თამაშის გაშლა არ დაანებეს და ბურთი შერკინებაში ჩაიხვიეს, თავიანთ შანსებს ერთი-ორად გაზრდიან.

მაგრამ ფავორიტად მაინც ავსტრალია ჩავთვალოთ, თუნდაც იმის გამო, რომ „ვოლაბებს" დაუბრუნდათ მცირე ტრავმაგადატანილი კაპიტანი ჯორჯ გრეგანი. ოზთა 31 წლის ლიდერი დღეს უწევს 100-ტესტიან ნიშნულს და ხაზის გამთამაშებელ სტივენ ლარქემთან ერთად კვლავ აბნევს მეტოქეს და აღაფრთოვანებს მაყურებელს.

ერთი კაც უნდა ვახსენოთ: ოზთა გარემარბი კლაიდ რეთბოუნი სამხრეთაფრიკელი გახლავთ, 2002 წელს სამხრეთაფრიკელთა 21 წლამდელთა ნაკრებს კაპიტნობდა და მსოფლიოს ჩემპიონადაც გახადა, მაგრამ დროება იცვლება და ახლა ის ავსტრალიის ოქროსფერ კვართში გამოწყობილი ყოფილი მოძმეებისთვის ლელოს გატანას ეცდება.

კოტე ყორშია

ფეხბურთი

გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
I ტური

ვერდერი (ბ) 2:1 ლიუბეკი

შვეიცარია

სუპერლიგა. III ტური

სერვეტი 1:2 ბაზელი

ჩელენჯლიგა. I ტური

კიასო 0:0 ბადენი

ირლანდია

პრემიერლიგა. XXI ტური

ჯორკ სიტი 2:0 უოტერფორდი

დროჰედა 4:0 დერი სიტი

ბოჰემიანსი — ფელბურნი
გადაიდო

სლოვენია

სი მობილ ლიგა. I ტური

პუგლიკუმი 0:1 დრავა

პოლონეთი

I ლიგა. I ტური

ზაგლებე 2:5 კრაკოვია

ამჟანაგური მატჩები

რივერ პლეიტი 0:0 არსენალი

ლანსი 1:0 სელტა

აიაქსი 3:2 პანათინაიკოსი

აზიის თასი 2004

მეოთხედფინალი

უზბეკეთი 2:2(ჯ.ჯ.(პენ.3:4, 2:2) ბაჰრეინი

ჩინეთი 3:0 ერაყი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადრი კეთილაძე შამქირიდან

გურჯები შამქირში

ეს აზერბაიჯანია, სადაც იქაური ხანის... უკაცრავად... პრეზიდენტის და მისი მემკვიდრის სახეს საფეხბურთო სტადიონზეც წაეწყდებით, გამაგრილებელი შარბათის გასაყიდ მაცივართანაც და „ნოლადინის“ სარკეზეც; სადაც კარის ბადეს ზედ საფეხბურთო თამაშის წინ კემსავენ; სადაც შუა ქალაქში სახელდახელოდ გაშლილ-გადახურული სუფრა შემოგეფეთებათ. ეს შამქირია, ჩვენებურად კი შამქორი, სადაც უკანასკნელად შეისვენებდნენ საქართველოზე წამოსული სასანიანთა, თეთრბატკნიანთა თუ თურქმენთა ურდოები. ჩვენებიც ყოფილან შამქორში, თუნდაც რვა საუკუნის წინ და იქიდან დიდი გამარჯვებით დაბრუნებულან. სულ ახლახან გურჯებმა იქ კვლავ ააფრიალეს გამარჯვებული ქართული დროშა. გუშინწინ ჩვენმა საფეხბურთო „თბილისმა“ 4:1 გამარჯვება, ხოლო „სარბიელის“ ფოტორეპორტიორმა ბადრი კეთილაძემ ეს ფოტოები ჩამოიტანა. აი, ესაა აზერბაიჯანი!





სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოძრომჭელიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge